ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 24 დეკემბერი 2004 №299 (2320) ფასი 50 თეთრი

## გასაწყვეტი გაწყდა, გადასაწყვეტი გადაწყდა

საქართველოში სატრანსფერო სეზონი აძიგძიგდა — ახალი ფეხბურთელების მთავარი შემმატებელი თბილისის „დინამოა“, რომელმაც ორი ფეხბურთელი უკვე შეიგულა — ლაშა ნოზაძე „ვიტ ჯორჯიადან“ და შოთა ბაბუნაშვილი „ტორპედოდან“. ნოზაძემ „ვიტ ჯორჯიაში“ შვიდი წელი დაჰყო, ბაბუნაშვილმა „ტორპედოში“ — ოთხი. ორივე კაპიტანი ვალმოხდილი ემშვიდობება გუნდს.

„დინამო“ ამაზე გაჩერებას არ აპირებს და „თბილისის“ რამდენიმე მობურთალს მგელივით უყურებს. „დინამოს“ კი ორი ფეხბურთელი დატოვებს — თუ ლადო ახალაიას ამბავი ადრევე იყო ცნობილი, ახალი ისაა, რომ „დინამომ“ ტრანსფერზე ბორის გონჩაროვიც დააყენა.

ამასობაში თბილისის „ლოკომოტივი“ რუსეთის ჩემპიონს დაუმეგობრდა, ხოლო ახალი წლიდან ვინძლო სამი ბრაზილიელიც დაიმატოს.

არც „ტორპედო“ თვლემს — ქუთაისელები უკრაინელ ფეხბურთელეს ეპატიჟებიან.







ტორპედოს და ვიტ ჯორჯიას კაპიტნები, შოთა ბაბუნაშვილი და ლაშა ნოზაძე თავს უკვე დინამოელებად თვლიან

## საკიმ ვარსკვლავებს ჭკუა უნდა არიგოს



მარიანო გარსია რემონი კვლავ „რეალის“ მწვრთნელი იქნება — ასე გადაწყვიტეს სამეფო კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა, ახალდანიშნულმა ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ და ფეხბურთის დირექტორად იტალიიდან წვეულმა არიგო საკიმ.

ესპანური პრესის ვარაუდით კი, რემონი „რეალში“ ვინძლო“, ზაფხულამდეც არ გააჩერონ და საშობაო არდადეგებისას „გალაქტიკოს“ მწვრთნელად ისეთი ავტორიტეტი ვიხილოთ, გაზულუქებულ ვარსკვლავთ ჭკუაზე რომ მოიყვანს.

ესპანური პრესა აქვე იმასაც იხსენებს, როგორ შეეცადა სეზონის დასაწყისში ხოსე ანტონიო კამაჩო ვარსკვლავთკრებულის მიწაზე დაშვებას და, ფლორენტინო პერესის თანადგომა რომ ვერ იგრძნო, საცა არა სჯობსო...

არიგო საკიმ, „რეალში“ საქმის საკეთებლად მოვედიო. არც კამაჩო მისულა მშობლიურ კლუბში სანებივროდო, ენამწარობს ესპანური მედია და იმასაც მიანიშნებს, თუ იტალიელს „გალაქტიკოში“ საქმეების დალაგება სურს, პრეზიდენტ პერესს ვარსკვლავურ პოლიტიკაზე ხელი უნდა აალებინოსო.



# მათამაშეთ!



## კიევის მადლობელი ამისულაშვილი დინამოდან მიდის და არც მიდის

ამ დღეებში კიევის „დინამომ“ ქართველი მცველის ალეკო ამისულაშვილის შესაძლო ტრანსფერის თაობაზე რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გაავრცელა. კიეველები ხან ამბობდნენ, ამისულაშვილს რუსული „როსტოვი“ ეპატიჟება და ფეხბურთელს იქ გავანათხოვრებთო, ხან — ქართველ მცველს იანვარში მოსკოვში ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე ვათამაშებთ და სხვა გუნდში არ გავუშვებთო.

„დინამოდან“ მოსული ბოლო ცნობით, ჩვენიან ფეხბურთელს კარიერა სწორედ „როსტოვში“ უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ, როგორც ირკვევა, არც ეს ამბავი უნდა იყოს მთლად მართალი, რადგანაც თავად ამისულაშვილისთვის მის გასხვისება-განათხოვრებაზე არავის არაფერი უთქვამს

— ჩემი შესაძლო ტრანსფერის თაობაზე ჯერჯერობით გაურკვეველი ვითარებაა, არ ვიცი, მომავალში რა იქნება, იქნებ „დინამოში“ დავრჩე, იქნებ სხვაგანაც წავიდე — გვითხრა ალეკო ამისულაშვილმა, რომელიც შვებულებით თბილისში ჩამოვიდა — კიევში 3 იანვარს დავბრუნდები და გასარკვევსაც მაშინ გავარკვევ. „დინამოს“ ხელმძღვანელობას ორი-სამი დღის წინ კი ველაპარაკე, მაგრამ კონკრეტული არაფერი უთქვამთ.

— სამაგიეროდ, ინფორმაციას ავრცელებენ, ამისულაშვილი „როსტოვში“ მიდისო...

— არ ვიცი, ვინ რა ინფორმაციას ავრცელებს. თუ „როსტოვში“ მიშვებენ, ეს ამბავი პირველ რიგში ჩემთვის უნდა ეთქვათ.

— „როსტოვში“ შენ გადასვლაზე საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი?

— ადრე მითხრეს, „როსტოვია“ შენით დაინტერესებულიო, მაგრამ მხოლოდ ითქვა... როგორც მერე გავიგე, კიეველებს ჩემი განათხოვრება სურდათ, რუსებს კი ყიდვა. საქმეც, მგონი, ამ მიზეზით ჩაიშალა. ახლა რა ვითარებაა, ვერ გეტყვით.

— „დინამოში“ დარჩენაზე უკვე აღარ ფიქრობ?

— დავრჩები იმ შემთხვევაში, თუ მათამაშებენ. კი, „დინამო“ დიდი გუნდია, კარგი პირობებია, ყველაფერი კარგია, მადლობელი ვარ, მაგრამ არ მათამაშებენ, ჩემთვის კი სწორედ თამაშია მთავარი. ვნახოთ, კიევში როცა დავბრუნდები, მწვრთნელსაც დაველაპარაკები და რასაც მეტყვის, იმის შესაბამისად მოვიქცევი.

— საბოსთან აქამდე არ გისაუბრია?

— კი, რამდენჯერმე. ერთხელ, როცა ვილაპარაკეთ, მეორე დღესვე მათამაშა უკრაინის თასზე. ვფიქრობ, მწვრთნელის ყველა დავალება ხუთიანზე შევასრულე. თავადაც კმაყოფილი იყო, რაც უკრაინელ ჟურნალისტებსაც უთხრა. ასე რომ, საბო ვერ იტყვის, ამისულაშვილს თავის გამოჩენის შანსი მივეცი და ვერ გამოიყენაო. კარგად გამოვიყენე. მაგრამ, რატომღაც მაინც არ მათამაშებს, ამბობს, გუნდი სტაბილურ ფორმაშია და შემადგენლობის შეცვლას ვერიდებიო.

— თუ „დინამოდან“ წასვლაა, თავად როგორ გირჩევნია, გუნდმა გაგანათხოვროს თუ გაგყიდოს?

— „დინამოსთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე მაქვს, კიევში ჯერ ერთი წელია, ვარ. საქმისთვის როგორც აჯობებს, მეც ისე მირჩევნია. თამაში მინდა და სადაც მათამაშებენ, იქ წავალ, გინდა გამანათხოვრონ, გინდა გამყიდონ.

**კობა ინასარიძე**

### თურქეთი

თასის 1/16 ფინალი

**ერსიესფორი 3:2დ.დ.(2:2) სებათი**

### პორტუგალია

თასის 1/16 ფინალი

**ვიანენსე 1:3 ბოავიშტა**

### ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. XVIII ტური

**პონტევედრა 1:1 ფეროლი**

### A ჯგუფი

**შსს 3:3 ზოოვეტი**

1:0 ლ. ნოზაძე, 2:0 მაღლაკელიძე, 2:1 აფციაური, 2:2 ბურდული, 2:3 სანიკიძე, 3:3 ნატროშვილი

**იმედი 1:2 საბურთალო**

1:0 მეფარიძე, 1:1, 1:2 ცომაია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ზოოვეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 11:9 | 4 |
| შსს | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| საბურთალო | 3 | 1 | 0 | 2 | 6:9 | 3 |

### B ჯგუფი

**დინამო 2:3 მაქსიმუმი**

0:1 ბოლქვაძე (პენ), 0:2, 0:3 სეფერთელაძე, 1:3 კუსრაშვილი, 2:3 ჩირიკაშვილი

**კახეთი 7:1 ევროპეისი**

1:0 ალუდაშვილი, 2:0 ბ. ბურნაძე, 3:0, 4:0 ალუდაშვილი, 4:1 გ. დათუნაიშვილი, 5:1 ბ. ბურნაძე, 6:1, 7:1 ალუდაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაქსიმუმი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:4 | 9 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 11:8 | 6 |
| კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 11:8 | 3 |
| ევროპეისი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:15 | 0 |

### C ჯგუფი

**სეუ 5:5 ცენტრპოინტი**

0:1 ზ. ლაბაძე, 0:2 კამლაძე, 1:2 ფიფია, 2:2, 3:2 ჯიქია, 4:2 ფიფია, 4:3, 4:4 კამლაძე, 5:4 დ. ოდიკაძე, 5:5 ელოშვილი

**იბერია 7:1 ლოკომოტივი**

1:0 პატაშური (ს.კ.), 1:1 კახელიშვილი, 2:1 ბობოხიძე, 3:1 თორთლაძე, 4:1 პატაშური (ს.კ.), 5:1 ბობოხიძე, 6:1, 7:1 კვინიკაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 3 | 2 | 0 | 1 | 14:5 | 6 |
| უნივერსიტეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 10:9 | 4 |
| ცენტრპოინტი | 3 | 1 | 1 | 1 | 10:11 | 4 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:13 | 3 |

## ბენდელას თასი 2004

თბილისი. სპორტის სასახლე. 21-27 დეკემბერი

# ჟურნალიც ყოფილა, იყო და კინოც. თან შუქიც ჩააქრეს

გუშინდელი დღე ძალიან საინტერესო გამოდგა. სხვანაირად არც შეიძლებოდა: გუნდებს ჯგუფიდან გასვლის ბოლო შანსი ჰქონდათ და საკმაოდ დაძაბული თამაშებიც გაჩაღდა.

გამონაკლისიც იყო. „დინამოს“ და „მაქსიმუმს“ მეოთხედფინალი უკვე განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ ამათი შეხლა ერთ რამედ ღირდა — იქით ტორპედოელებით, დავით ბოლქვაძით და ალექსანდრე კოშკაძით თავმომწონე „მაქსიმუმი“, აქეთ კი ჯიგრიანი პატარა დინამოელები. გასარკვევი ერთი იყო: ვინ გავიდოდა ჯგუფში პირველ ადგილზე?

თამაში ისე დაიწყო, რომ ამ კითხვაზე პასუხი იოლი გასაცემი გახდა — „მაქსიმუმი“ ბოლქვაძის პენალტით დაწინაურდა, რასაც მალე გიორგი სეფერთელაძის დუბლი მოჰყვა და 3:0.

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ „დინამოც“ არ ჩამორჩებოდა მეტოქეს? ასე კი მოხდა: დინამოელებმა კუსრაშვილ-ჩირიკაშვილის გოლებით სხვაობა შეამცირეს და რომ გამართლებოდათ, მეტსაც შეძლებდნენ — დვალიშვილის, შალამბერიძის და კუსრაშვილის სახიფათო დარტყმულებს „მაქსიმუმის“ მეკარე გადაეფარა.

მოკლედ, „მაქსიმუმმა“ 3:2 მოიგო და პირველ ადგილზეც გავიდა...

არანაკლები ინტრიგა ჩუხჩუხებდა შსს — „ზოოვეტის“ მატჩშიც. პირველი ტაიმი შსს-ს უპირატესობით გაილია, რაც ანგარიშშიც გამოიხატა — 2:0. მერე კი ზოოლოგებმაც გაილვიძეს და თორნიკე აფციაურის და ლადო ბურდულის გოლებით გაათანაბრეს.

მატჩის ბოლოს გუნდებმა თითო გოლიც გაცვალეს და 3:3-ზე გაიყარნენ.

ეს თამაში „ჟურნალი“ იყო, „კინო“ თურმე გველოდა: „უნივერსიტეტი“ — „ცენტრპოინტი“.

„მშენებლებს“ ფრეც ხელს აძლევდათ ჯგუფიდან გასასვლელად და საამისოდ გიორგი კილასონიაც დაიხმარეს, „უნივერსიტეტს“ კი პირიქით, მთავარი ძალა არ ჰყავდა — გოჩა ჯამარაული ტრიბუნიდან ქომაგობდა გუნდს.

კილასონია მართლაც დიდი შვება გამოდგა „ცენტრპოინტისთვის“. გიამ ოთხი საგოლე პასი გააკეთა და გუნდსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა.

ოქმშიც ნახავდით, როგორ იცვლებოდა ანგარიში, მაგრამ ერთ ეპიზოდზე არ ვთქვათ, არ იქნება: მეორე ტაიმში „უნივერსიტეტი“ 4:2 დაწინაურდა, თუმც გუგა კამლაძემ ოც წამში გაათანაბრა (ორჯერვე კილასონიას იდეალური პასით).

4:4 ტაბლოზე ხეირიანად არც აციმციმებულა, შესაცვლელი რომ შეიქნა: გოლის მერე ცენტრიდან გათამაშებულ ბურთს დავით ოდიკაძემ თავისი ნახევრიდან ამოსცხო და 5:4.

თუმც არც ამ ანგარიშს ეწერა დიდი დრო — „ცენტრპოინტმა“ ელოშვილის გოლით გაათანაბრა და თამაშიც იქვე მორჩა...

ექვსქულიანმა „იმედმა“ უქულო „საბურთალოს“ პირველი ტაიმი მეფარიძის გოლით მოუგო, მაგრამ აქ საქმეში „თელასი“ ჩაერია და ნახევარ საათზე მეტხანს სპორტის სასახლის დარბაზში მხოლოდ ასანთ-სანთებელები ბჟუტავდა. შუქის მოსვლას ელოდნენ თუ რა იყო, მეორე ტაიმში „საბურთალომ“ ცომაიას წყვილი გოლით შემოატრიალა თამაში. გელა ქორიძის გუნდმა კი მოიგო, მაგრამ ჯგუფში ბოლო ადგილს ვერ ასცდა, იმედელებს კი გუშინწინვე ჰქონდათ განაღდებული პირველი საფეხური და ამ მარცხის გამო ლოყები არ ჩამოუხოკავთ.

უცნაური იყო „იბერია“ — „ლოკომოტივის“ მატჩიც. პირველი ტაიმი 1:1 დასრულდა, მაგრამ მეორეში იბერიელებმა მიაყარეს და მიაყარეს გოლები. კიდევ უფრო უცნაური ის მოხდა, რომ ბობოხიძისა და კვინიკაძის მსგავსად, ლოკომოტიველმა პატაშურმაც დუბლი შეასრულა, ოღონდ... კარი შეეშალა. მეორე ავტოგოლი კი პატაშურმა მინი-ფეხბურთისთვის იშვიათი ხილით, თავურით გაუტანა საკუთარ მეკარეს. შედეგად, „ლოკომოტივი“ მეოთხედფინალს მიღმა დარჩა...

ყველაზე უინტერესო თამაში კი „კახეთმა“ 7:1 გაანადგურა „ევროპეისი“. კახელებსაც და „ევროპელებსაც“ ჯგუფიდან გაღწევის შანსი დაკარგული ჰქონდათ და გოლუხვი თამაშიც ამიტომ გაჩაღდა. „ბენდელას თასის“ პირველი პოკერი კი ალუდაშვილმა გაიფორმა, თუმც გატანა კიდევ შეეძლო...

**ილია ნანობაშვილი**
**კახა შალამბერიძე**



### მეოთხედფინალი. ხვალ

| | |
|---|---|
| 14.30 | ზოოვეტი — დინამო |
| 15.30 | იმედი — ცენტრპოინტი |
| 16.30 | იბერია — შსს |
| 17.30 | მაქსიმუმი — უნივერსიტეტი |

### ბავშვთა ტურნირი

A ჯგუფი: მემორიალი (ქუთაისი) — ომც (თბილისი) 0:2; ხობი — თერჯოლა 1:3

B ჯგუფი: ლიონი (გორი) — დინამო (ქუთაისი) 0:1; 35-ე სკოლა (თბილისი) — თბილისი 2:1

C ჯგუფი: ნორჩი დინამოელი (თბილისი) — ზუგდიდი 8:1; საბურთალო (თბილისი) — განათლება (ბათუმი) 0:0

D ჯგუფი: ლოკომოტივი 94 (თბილისი) — ლუკა (ბათუმი) 0:0; ავაზა (თბილისი) — ოლიმპი (თბილისი) 0:0

**მეოთხედფინალი. ხვალ**

ხობი — ზუგდიდი; დინამო — ოლიმპი; ომც — ნორჩი დინამოელი; ლიონი — ლოკომოტივი 94

# დინამომ ტორპედოს და ვიტ ჯორჯიას თავები წააძრო

## ბაბუნაშვილი და ნოზაძე კვიპროსზე მიჰყავს

*ახალი ამბები თბილისის „დინამოდან“: გუშინ თბილისელებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ისინი ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტნებით — შოთა ბაბუნაშვილითა და ლაშა ნოზაძით არიან დაინტერესებულნი და მათთან მოლაპარაკება თითქმის დასრულებულია. „დინამოს“ პრეს-სამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, მოლაპარაკება მოლაპარაკებად და, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია, რომ ეს ფეხბურთელები გუნდს 20 იანვრიდან კვიპროსულ შეკრებაზე გაჰყვებიან*

ბაბუნაშვილისა და ნოზაძის გარდა „დინამო“ რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირებითაცაა დაინტერესებული, მაგრამ მათ ვინაობას თბილისელები ჯერჯერობით არ ამხელენ. კულუარებში კი ლაპარაკობენ, რომ „დინამოს“ „თბილისის“ ნახევარმცველები დავით ოდიკაძე და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე მოსდის თვალში. თუმც „თბილისის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი ამბობს, რომ კლუბი თავისი ფეხბურთელების „დინამოში“ გასხვისებაზე ამ ეტაპზე არ ფიქრობს, რადგანაც, მაგალითად, ჭელიძეს ბუნდესლიგის ჩემპიონ „ვერდერში“ გადასვლის შანსი აქვს.

თავად „დინამომ“ კი, თავის მხრივ, კიდევ ორი ისეთი ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც ტრანსფერზე დააყენა: ლადო ახალაია და ბორის გონჩაროვი სეზონს ალბათ სხვა გუნდებში განაახლებენ. როგორც ლევან სალუქვაძემ გვითხრა, ახალაია „თბილისს“ მოსკოვში, ესენგეს ჩემპიონთა ტურნირში სათამაშოდ გაჰყვება, სადაც მას რუსულ-უკრაინული კლუბების წარმომადგენლები დააკვირდებიან. გონჩაროვით დაინტერესებულთა ვინაობა კი ჯერ გაურკვეველია. აქვე შეგახსენებთ, რომ „დინამომ“ უფრო ადრე ტრანსფერზე დააყენა ლადო ბურდული და სანდრო იაშვილი. ბურდული აქამდე თბილისის „ლოკომოტივში“ იყო განათხოვრებული, იაშვილი კი „თბილისში“, თუმც სანდრო ახლა შოტლანდიურ „ჰართსს“ აწონებს თავს.

ლევან სალუქვაძემ გვითხრა ისიც, რომ გაირკვა კვიპროსულ შეკრებაზე „დინამოს“ ერთ-ერთი მეტოქის ვინაობაც. ეს ქართველების „ანართოსისი“ იქნება. სხვა სპარინგპარტნიორების ამბავი ჯერ უცნობია. დიდი ხნის გარკვეული კი ისაა, რომ კვიპროსის შემდეგ „დინამო“ ესპანური მარბელას საერთაშორისო ტურნირში მოსკოვის „სპარტაკს“, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ და დონეცკის „შახტარს“ გაეჯიბრება. მეორე ეტაპისთვის მზადებას კი „დინამო“ თბილისში 5 იანვარს დაიწყებს.






ბორის გონჩაროვის და ლადო ახალაიას საქმე გაირკვა: ტრანსფერზე

**კობა ინასარიძე**

# ნოზაძემ შვიდწლიანი გარემო შეიცვალა

## იმოძრავე მოედანზე, იმოძრავე ცხოვრებაში

ლაშა ნოზაძე დინამოელია. ეს ამბავი გუშინ გაირკვა. „ვიტ ჯორჯიას“ ან უკვე ყოფილ კაპიტანს „დინამოსთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმც ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია. ნოზაძე ახალი გუნდის ხელმძღვანელობას ყველაფერზე შეუთანხმდა და კვიპროსულ შეკრებაზეც მიდის, მანამდე კი ეს ინტერვიუ...



— ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია, „დინამოში“ ვითამაშებ.

— კონტრაქტს როდის აფორმებ?

— ზუსტად არ ვიცი.

— გავიგეთ, „დინამოს“ კვიპროსულ შეკრებაზეც მიჰყვები...

— მართალია. შეიძლება ითქვას, ახალ გუნდში უკვე გადავედი.

— დამაჯერებელ პასუხს მაინც ვერ იძლევი. რატომ?

— რა ვიცი... ჯერ ხომ კონტრაქტი არ გამიფორმებია.

— კი მაგრამ, ბევრი რამ არის გასარკვევი?

— არა. პირობებზე შევთანხმდით. კონტრაქტსაც მალე გავაფორმებ და ნაღდი დინამოელი მაშინ ვიქნები.

— „ვიტ ჯორჯიადან“ უკვე თავისუფალი ხარ?

— ეგრეა. „ვიტ ჯორჯიასთან“ აღარაფერი მაკავშირებს.

— „დინამოში“ შენ გადასვლაზე ადრეც იყო ლაპარაკი, მაგრამ საქმე წინ ვერა და ვერ წავიდა...

— სეზონის წინ უფრო რეალური იყო ჩემი „დინამოში“ გადასვლა, მაგრამ მაშინ არ გამოვიდა.

— „ვიტ ჯორჯიადან“ წასვლაზე ადრეც ბევრჯერ გითქვამს. ახლა ეს სურვილი აიხდინე, მაგრამ მაინც გკითხავ: „დინამოში“ თამაში გერჩივნა თუ უცხოეთში?

— ასე კონკრეტულად ვერ გიპასუხებ. რაც რეალური იყო, ის გამოვიდა და სხვა რამეზე ახლა არც ვფიქრობ.

— თვლი, რომ შენთვის ახალი ეტაპი იწყება?

— კი. შვიდი წელი ერთ გუნდში ვითამაშე და გარემოს შეცვლა აუცილებელიც კი იყო. ვფიქრობ, სხვა ეტაპზე გადავდივარ. მართალია, ყველაფერს თავიდან არ ვიწყებ, მაგრამ რაღაც რომ იცვლება, ფაქტია.

**ბაჩა შალამბერიძე**

# მადლობა მეორე მამას

## ბაბუნაშვილი დინამოთი მოუმატებს

გადაწყვეტილი ამბავია – 24 წლის შოთა ბაბუნაშვილი იანვრიდან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი გახდება – ქუთაისის „ტორპედოს“ ცაცია ნახევარმცველი აწი „დინამოსთვის“ გაირჯება. ბაბუნაშვილი ჯერ ქუთაისშია და საინტერვიუოდ იქ დავუკავშირდით



— ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვარ, „დინამოში“ გადასვლა ძალიან მინდოდა.

— შენი კარიერის ამ ეტაპზე „დინამოში“ გადასვლა მაქსიმუმია?

— ამ ეტაპზე ჩემთვის ეს მართლაც მაქსიმუმია.

— 24 წლის ხარ და, როგორ ფიქრობ, კიდევ შეგიძლია, თამაშს მოუმატო?

— საამისოდ დრო კიდევ დამრჩა და იმედი მაქვს, რომ კიდევ მოვუმატებ — ამიტომაც ღირდა „ტორპედოდან“ „დინამოში“ გადასვლა.

— როგორ გგონია, „დინამოში“ უფრო ძნელი იქნება თამაში თუ „ტორპედოში“?

— თბილისის „დინამოში“ თამაში იოლი არ იქნება, მაგრამ, მეორე მხრივ, „ტორპედოში“ ბოლო დროს ყველაფერი 11-12 ფეხბურთელზე გადადიოდა, „დინამოში“ კი ასე არ არის.

— „დინამოში“ რა პოზიციაზე გსურს თამაში — მარცხენა ნახევარმცველად თუ გამთამაშებლად?

— არ ვიცი, მთავარია, ვითამაშო.

— „დინამოში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადიხარ?

— „ტორპედოსთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა, მაგრამ ამ კლუბის ვიცე-პრეზიდენტის შედან ნანიკაშვილის მადლობელი ვარ — ყველანაირად შემიწყო ხელი „დინამოში“ გადასვლაში. სწორედ ნანიკაშვილმა მიმიყვანა „ტორპედოში“ და შვილივით მპატრონობდა, „ტორპედოში“ ის ჩემი მეორე მამა იყო.

— ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „ტორპედო“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „დინამოს“ უმთავრესი კონკურენტი იყო, მაგრამ მეორე ეტაპისთვის „ტორპედოს“ რამდენიმე ფეხბურთელი ტოვებს — „დინამოს“ ამით ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაუადვილდება?

— მთლად ასეც არ უნდა იყოს — „ტორპედო“ ახალი ფეხბურთელებით შეივსება, ქუთაისში უკრაინელების ჩამოყვანას აპირებენ.

— ქუთაისელი გულშემატკივრები როგორ შეხვდებიან „დინამოში“ შენი გადასვლის ფაქტს?

— ქუთაისელი გულშემატკივრები მეუბნებოდნენ, „დინამოში“ არ გადახვიდე, რაღა მაინცდამაინც „დინამოში“ მიდიხართო, მაგრამ ეს წმინდა სპორტული დაპირისპირებაა და არა სიძულვილი. „ტორპედოსთვის“ თავი არასდროს დამიზოგავს, ოთხი წელი, რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი „ტორპედოსთვის.“

**დავით თავართქილაძე**

# სვანაძემ მუხლი გაიკეთა

**თბილისის** „ლოკომოტივის“ მცველმა რამაზ სვანაძემ ვარჯიში დაიწყო და მალე გუნდთან ერთად მზადებას შეუდგება.

სვანაძეს მუხლის ჯვარედინი იოგები ჰქონდა გაწყვეტილი და მკურნალობას თითქმის რვა თვე მოანდომა, აქედან ხუთი თვე ის კიევში იყო, სადაც ხელმეორე ოპერაცია გაიკეთა და სარეაბილიტაციო კურსი გაიარა. პირველი ოპერაცია რამაზს საქართველოში უშედეგოდ გაუკეთეს და ფეხბურთელიც იძულებული იყო, მკურნალობა უკრაინაში გაეგრძელებინა.

რამაზ სვანაძე ახლა უკვე თბილისშია, როგორც ვთქვით, ვარჯიშიც დაიწყო და გუნდს შეკრებისთანავე შეუერთდება.

— „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი იანვარში მიმთავრდება და ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, ჩემპიონატის განახლებას რომელ კლუბში შევხვდები. სურვილი კი მაქვს, „ლოკომოტივში“ დავრჩე, მაგრამ ამის თაობაზე კლუბის გენერალურ მენეჯერს ლევან ყიფიანს უნდა დაველაპარაკო — გვითხრა რამაზ სვანაძემ

**კობა ინასარიძე**

## რუსები ქართველებს ფულის შოვნას ასწავლიან

თბილისის „ლოკომოტივის“ გენერალური მენეჯერი ლევან ყიფიანი უცხოეთიდან ახლახან დაბრუნდა — ის პირადი და საქმიანი ვიზიტებით გახლდათ ჯერ უკრაინაში, შემდეგ რუსეთში და მოსკოვის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ ვალერი ფილატოვსაც შეხვდა. მოკლედ, თბილისურმა და მოსკოვურმა „ლოკომოტივებმა“ ურთიერთობა გააბეს და ამით რა ვაგონებს ჩაიბამენ, მალე უნდა გამოჩნდეს...

# არის კონტაქტი! თბილისური ლოკომოტივი მოსკოვურს მიბაძავს

— ჯერ ოდესაში ვიყავი ვიქტორ პროკოპენკოს იუბილეზე — მოსკოვის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელსა და დონეცკის „შახტარის“ სელექციონერს 60 წელი შეუსრულდა. უკრაინაში ძალიან თბილად მიმიღეს და გადაწყდა, რომ „შახტართან“ ვითანამშრომლებთ — ჩვენ მათი გამოცდილების გაზიარება გვსურს კლუბს მართვის საქმეში.

— ოდესიდან რუსეთში წახვედით — რა საქმიანი შეხვედრები გქონდათ იქ?

— შევხვდი მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას და შეიძლება ითქვას, რომ სერიოზულ კონტაქტებს ვამყარებთ ამ კლუბთან.

— რა იქნება ამ თანამშრომლობის პირველი ნაბიჯი?

— ახალი წლის შემდეგ თბილისში ამ კლუბის ერთ-ერთი წარმომადგენელი დავით შეგანიანი გვესტუმრება. ის ამას წინათ „მილანში“ იყო, რათა იქაური სამუშაო სტრუქტურა შეესწავლა. მოკლედ, ყველა ყველასგან სწავლობს და ჩვენც საფეხბურთო მეურნეობის მხრივ განვითარებადი ქვეყანა ვართ. ჩვენსა და წამყვან რუსულ კლუბებს შორის დაახლოებით ისეთი სხვაობაა, როგორც რუსულ და დიდ ევროპულ კლუბებს შორის. სხვათა შორის, შეგანიანს აქაური ფესვები აქვს — ბაბუამისი თბილისელი სომეხი იყო.



ლევან ყიფიანი

— ამ ეტაპზე კონკრეტულად როგორ ითანამშრომლებთ მოსკოვის „ლოკომოტივთან“?

— გვსურს, რომ ჩვენი მწვრთნელები მოსკოველთა დახმარებით უცხოეთის დიდ გუნდებში გავუშვათ სტაჟირებაზე.

— თბილისში ხმები გავრცელდა, რომ აქაურ „ლოკომოტივში“ უცხოელი მწვრთნელი მოჰყავთო...

— ეს ხმები ჭორია, გუნდს ჯერჯერობით ზაურ სვანაძე წვრთნის.

— მოსკოვის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტს თუ შეხვდით?

— ვალერი ფილატოვს შევხვდი და მისი კლუბიდან ბევრი რამის გადმოღებას ვაპირებთ, მაგალითად, იმას, თუ როგორ მოვიზიდოთ ინვესტიციები.

— მოსკოვის „ლოკომოტივთან“ რაიმე ფინანსური ხელშეკრულების დადებასაც აპირებთ?

— არა, მოსკოვის „ლოკომოტივი“ ჩვენი „ლოკომოტივის“ მეწილე არ გახდება. აქ ლაპარაკია პროფესიულ ურთიერთობებზე.

— თქვენი კლუბის სელექციონერი ჯემალ ჩიმაკაძე ბრაზილიაში იყო იქაურ ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად და აქ ჩამოსაყვანად — რა ეტაპზეა ეს საქმე?

— ახალი წლის მერე გადავწყვეტთ, ღირს თუ არა ბრაზილიელების ჩამოყვანა, თუ რამდენად რენტაბელური იქნება ეს ჩვენთვის.

— თუ ბრაზილიელებს არ ჩამოიყვანთ, გუნდის გაძლიერებას როგორ აპირებთ?

— ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარია, რომ გუნდის ბირთვი შევინარჩუნოთ — მიმდინარე სეზონში სერიოზული ცვლილებები არ გვექნება, თუმც „ლოკომოტივი 2“-დან და ჩვენი ჭაბუკთა გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ.

**დავით თავართქილაძე**



ვალერი ფილატოვი

ნიკა ჯორჯაძის გოლი



# FUCK და ჩემი დედა

დროის შეგრძნება რაღაც აბსტრაქტული უფროა, ვიდრე ნამდვილი განცდა. ჩვენს ინგლისელ მეგობარ მეთიუ კანინგემთან რამდენიმე თვეა, არ გვილაპარაკია. მას უყვარს კონცეპტუალურობა, მეტიც, თავისი მკაფიო მიკროსამყარო აქვს შექმნილი, მაგრამ ამავე დროს ნამდვილ რაღაცებს და ნამდვილ ამბებსაც მოგიყვებათ ხოლმე.

მეთიუს ოთახში ნაირგვარი პლაკატები და ფოტოები აქვს გამოკრული, მაგრამ ყველაზე უცნაური ალბათ ისაა, რომ ერნესტო ჩე გევარასა და ედგარ ალან პოს ფოტოები ერთმანეთისგან სულ რაღაც ათითხუთმეტი სანტიმეტრითაა დაშორებული.

ყბედობა კი იმაზე გავაჩაღეთ, როგორ ძველბიჭობენ თუ კაიბიჭობენ ინგლისში და საქართველოში. მეთიუ ქართველი არ არის, მაგრამ ჩვენს სოციალურ პონტზე კონცეპტუალურზე უფრო რეალური წარმოდგენა აქვს.

— ჩვენთან არავის მოსწონს, როცა ფეხბურთელი იგინება, მაგრამ ბილწ ფეხბურთელებზე გუნდის ფანები დუმან, თუ, რა თქმა უნდა, ეს ფეხბურთელი კლუბის საწინააღმდეგოდ არა იგინება, გაზეთები კი ასეთებს ძალიან ამათრახებენ. მაგრამ ინგლისელი ბიჭი საკუთარ დედას არ აგინებს, მისი **fuck** უბრალოდ უკმაყოფილებას ნიშნავს და არა გინებას. ავიღოთ იგივე **fuck off** — როცა ინგლისელი წაიქცევა ან ცარიელ კარსააცილებს, ამას ამბობს, მაგრამ ამას მკაცრი მნიშვნელობა არ აქვს.

— გინების დარად ჩხუბსაც არა აქვს მკაცრი მნიშვნელობა თქვენთან?

— პაოლო დი კანიო იყო ასეთი. როცა ის „შეფილდ უენსდეიში“ თამაშობდა, მსაჯიც კი დააგდო მინდორზე, მაგრამ დი კანიო იტალიელია და ის ინგლისიდან უკვე წავიდა.

— მხოლოდ დი კანიო?..

— როი კინს სიფიცხე ხასიათიდან აქვს და არა მიზნიდან. კინი ოფიცერივითაა, ის ემოციურია და გუნდის კაპიტანია.

— „მანჩესტერში“ კიდევ გყავთ ეგეთები...

— ალან სმიტი უხეში რომ არ იყოს და ცხელი გული არ ჰქონდეს, მისგან არაფერი დარჩება. და საერთოდ, ხულიგნობა სულ სხვა რამეა, კინი და სმიტი კი მინდვრის კაცები არიან, მინდორზე არიან კაცები. „ბირმინგემში“ რობ სევიჯი რომაა, ისიც მინდვრის კაცია, ასეთები ჩვენში მეტწილად საყრდენი ნახევარმცველები არიან.

მეთიუს ისეთი სიზუსტე აქვს, მაგარ ჟურნალისტსაც კი შეშურდება. დახეთ, რა მოხდენილად და სადად თქვა, კინს ოფოფები ხასიათიდან აქვს და არა მიზნიდანო, აღარ უთქვამს, რომ თქვენს ბიჭებს...

მაგრამ ალან სმიტი ადრე „ლიდსში“ თამაშობდა და მეც ლიდსური ისტორიით შევუტიე მეთიუს.

— როგორ იყო, ლიდსელმა ბიჭებმა პაკისტანელი სტუდენტი რომ ცემეს და მერე ერთმანეთი რომ ჩააბოზეს?

— რაც მაიკლ დაბერიმ გააკეთა, ჩვენს საზოგადოებაში ეს ბოზობა არ არის. დაბერი დიდხანს იღებდა ამ გადაწყვეტილებას და ლი ბოიერს და ჯონათან ვუდგეიტს წინდაწინ უთხრა, სასამართლოში სიმართლეს ვიტყვიო. შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, რომ ბოიერმა და ვუდგეიტმა ადვილად დაიძვრინეს თავი მართლმსაჯულებისგან.

— და ლოთობაზე რაღას მეტყვით? ინგლისელი თავქარიანი ფეხბურთელი ქართველზე რომ უფრო მაგარი ლოთია, ეს ხომ ასეა?

— ფეხბურთელების სმა ინგლისში სოციალური ტრადიციაა, მუშური ტრადიცია, რაც უკვე იკარგება. ახლა ინგლისურ ფეხბურთში ინტერკულტურული ტენდენციაა, ფრანგი ფეხბურთელები ჩვენებურებივით არ სვამენ, მათთვის **binging** ანუ ბარის დახლთან ლეშვით სმა უცხოა. თანაც ჩვენები, ვთქვათ, კრეიგ ბელამი და კირონ დაიერი, მდიდრულ ადგილებში სვამენ, რაც ეგრევე ბაზრდება.

— ჰო, მართლა, სერ ალექს ფერგიუსონი ბოზობის აპოლოგიას რომ ეწევა, ამაზე რას იტყვით?

— ფერგიუსონს თითქმის ყველა პაბში ჰყავდა აგენტი, ვინც მისი გუნდის ფეხბურთელებზე მოახსენებდა, ამან ამდენი დალიაო, მაგრამ ეს უკვე ძველი, 90-იანი წლების ამბავია.

— „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელები კი სულ ჩხუბობენ...

— უბრალოდ, „სიტიში“ ასეთი პერსონაჟები არიან. ახლახან, საშობაო ზეიმზე გულშემატკივარმა ანელკას სთხლიშა სახეში.

— **tough guy** — ასეთები ინგლისელ პატარა გოგოებს არ უყვართ?

— ინგლისელ პატარა გოგოს გარეგნობის გამო თუ მოეწონება ბიჭი და არა იმიტომ, რომ ის **tough guy**, თავზეხელაღებული ბიჭია.

აქ მეთიუს მართლაც უღალატა დროის შეგრძნებამ, მას ალბათ ჰგონია, რომ ჩვენი პატარა გოგოები 80-იანი წლების ჩვენს პატარა გოგოებს ჰგვანან, თუმც ვინ იცის...

— მაინც რითი განსხვავდება **tough guy** ძველი ბიჭისგან?

— **tough guy**-ის ქურდული მენტალიტეტი არ აქვს, მას მუშტი აქვს, ის თითქმის განგსტერია.

კედელსლა ავხედე, ამაზე რაღას მეტყვის, სად ედგარ პო და სად ჩე გევარა? სად ფაქიზი სული და სად რევოლუციონერი?

— ეს ერთმანეთს არ გამორიცხავს. ფრანსუა ვიიონი პომდე იყო მაგარი პოეტი და შელაპარაკებისას კაცი მოკლა. ჩე გევარას კი შეეძლო, რაღაც-რაღაცებზე მაღლა დამდგარიყო, თუნდაც მშვიდ ცხოვრებაზე უფრო მაღლა — ჩე გევარამ ეს მართლაც შეძლო.

ნუ გაგიკვირდებათ, მეთიუ დიეგოს ედმაიერერია.

# ლიპის საშობაო ეპისტოლე

## იტალია იტალიელებისთვის: სკუადრა აძურას თავკაცის აუხდენელი ოცნება


ეროვნული ბიბლიოთეკა

*ვიცი, რომ ეს ოცნება არ ამიხდება, მაგრამ მინდა, 2005 წელს სერია A მხოლოდ იტალიელების ლიგად გადაიქცეს — ასეთი სიტყვებით იწყება „სკუადრა აძურას“ მწვრთნელის, მარჩელო ლიპის საახალწლო სურვილი ან უფრო ქართულად და გასაგებად რომ გამოგვივიდეს, სადღეგრძელო — მხოლოდ იტალიელების თამაში ჩინებული იქნებოდა და ჩვენი ფეხბურთის მომავალს დაიცავდა, დაგვახვეწინებდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდის სისტემებს. სამწუხაროდ, ჩემთვის ნათელია, რომ გლობალიზაციას ვერსად გავექცევით*

**მეორე მხრივ,** სერია A-ში ნამდვილად მოიძებნება გუნდები, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად აკმაყოფილებენ ლიპის „ნაციონალისტურ“ შეხედულებებს. ეს გუნდები ამ წუთისთვის ცხრილის შუაში არიან თავმოყრილი.

„ჩახედეთ ცხრილს — ამბობს „იუვენტუსის“ ყოფილი მხედართმთავარი — განა იქ მხოლოდ „იუვენტუსი“ და „მილანი“ არიან? ამ ორი კლუბის შემდეგ მოდიან „პალერმო“, „კალიარი“, „უდინეზე“, „სამპდორია“, „მესინა“ და „ლეჩე“. ეს გუნდები საკმაოდ კარგ ფეხბურთს თამაშობენ, კარგად გახლავან ორგანიზებული და ძალიან ბევრი იტალიელი ფეხბურთელი ჰყავთ. ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ ჩვენში ფეხბურთი ახალ სიმაღლეებზე ავა“.

დღეს ტენდენცია ასეთია: იტალიურ ფეხბურთში ბევრი უცხოელი ფეხბურთელი მიდის, აქაური მწვრთნელები კი, მართალია, ჯერჯერობით მძიმედ, მაგრამ მაინც გადიან მთელ ევროპაში.

„მგონი, აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ იტალიელი მწვრთნელები მსოფლიოში ყველაზე გამოცდილები და მომზადებულები არიან — განაგრძობს ტაქტიკოსი — აშკარაა, რომ „ბარსელონა“ და „რეალი“ ახალი გამარჯვების ეპოქისთვის ემზადებიან და ხომ ხედავთ, მადრიდელებმა სტრუქტურისა და ორგანიზაციის ასაწყობად არიგო საკი მიიწვიეს. ვფიქრობ, მან ესპანეთში წარმატებას უნდა მიაღწიოს“.

შემდეგ სიტყვამ მოიტანა და ლიპიმ ბრძანა, რომ როდესაც „იუვენტუსიდან“ მიდიოდა, ბევრი უცხოური გუნდისგან მიიღო მიწვევა, მაგრამ იგი იტალიის ნაკრების მწვრთნელობით იყო აღფრთოვანებული და ყველანაირ შემოთავაზებაზე უარი განაცხადა.

„2004-მა წელმა რამდენიმე სიურპრიზი მომიწყო. მაგალითად, ერთი იყო ფეხბურთელების მოწადინება. მე არ ველოდი, რომ იტალიელ მოთამაშეებს ასე უნდოდათ ნაკრებში თავის გამოჩენა და გუნდის ძველ სიმაღლეებზე დაბრუნება. ამიტომ, ჩვენ დღეს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში შესაძლოა პირველ ადგილზე ვართ, მაგრამ აშკარაა, რომ წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი“.

და მართლაც, მარჩელო ლიპის წინაშე სერიოზული ამოცანაა. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისა და 2004 წლის ევროპის პირველობის ჩაგდების შემდეგ გულშემატკივარი იტალიის ნაკრებისგან უკვე მიღწევებს ითხოვს.

„არა მგონია, რომ იტალიური ფეხბურთი დაუმსახურებლად არის რეკლამირებული და ნაქები. მეორე მხრივ, არც ზედმეტი უნდა მოგვივიდეს. ჩვენ მსოფლიო ფეხბურთის მნიშვნელოვან შენაკადად ვრჩებით და სრულიად ვიმსახურებთ ოთხეულში ყოფნას. ერთადერთი, რაც ახლა ამისთვის საჭიროა, გამარჯვებები გახლავთ. გამარჯვებების შემთხვევაში ქომაგები ჩვენს ძალას ირწმუნებენ“ — დააგვირგვინა მწვრთნელმა.

**პაპუნა ქედია**



# ატალანტა დელვეკიოს ელის

**სერია A-ს** აუტსაიდერი ბერგამოს „ატალანტა“ საშობაო ვაჭრობას „რომასგან“ მარკო დელვეკიოს შეძენით იწყებს. მოგეხსენებათ, დელვეკიო „სტადიო ოილმპიკოს“ მინდორზე იშვიათად გადის, არ ათამაშებენ. ასე რომ, მისი სხვაგან გადაბარგება გასაკვირი და მოულოდნელი ნამდვილად არ არის.

„მარკო „რომადან“ წასასვლელად მზად არის“ — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა გასტონე რიძატომ, რომელიც „ატალანტას“ გარდა „ბრეშასთანაც“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მანვე დასძინა:

„ბერგამოელებმა რეალური ინტერესი გამოამჟღავნეს და საქმე ნულიდან დაძრეს, მაშინ, როდესაც „ბრეშამ“ ჯერჯერობით დუმილი არჩია. მიუხედავად ამისა, გადაჭრით ჯერ მაინც ვერაფერს მოგახსენებთ. სატრანსფერო ფანჯარა 2 იანვარს იხსნება და „რომას“ წარმომადგენლებთანაც მაშინ გავარკვევთ ურთიერთობას. მართალი რომ გითხრათ, ფინანსური ასპექტისა არ გვეშინია, ჩვენი პრობლემა სხვაა, გვინდა ისეთ გუნდში მოვხვდეთ, სადაც მარკოს რეგულარულად ათამაშებენ.“

შეგახსენებთ, რომ მარკო დელვეკიოს ადრე „ინტერშიც“ უთამაშია, მაგრამ ბოლო 10 წელიწადია, „რომაში“ ხარჯავდა თავის ნიჭსა და უნარს. მისი კონტრაქტი დედაქალაქის გუნდთან 2005 წლის ივნისამდეა ძალაში.

**პაპუნა ქედია**

# აბა, ვის უნდა კარგი მცველები?

## იულიანოს მაგიდაზე სელტიკი დადეს

*იანვარში „იუვენტუსი“ ნიკოლა ლეგროტალიეს, იგორ ტუდორს და მარკ იულიანოს გაყიდისო — არადა, გუშინწინდელ ინფორმაციაში წერდნენ, რომ იყიდებოდა ალესიო ტაკინარდი, ხოლო ტუდორზე საერთოდ სიტყვა არ იყო ნათქვამი. ერთი სიტყვით, ამ ორი, გუშინწინდელი და გუშინდელი ინფორმაციებიდან დანამდვილებით მხოლოდ ის შეიძლება დავასკვნათ, რომ შობის შემდეგ ტურინიდან ფეხბურთელები წავლენ. საინტერესოა, რომ ჩამოთვლილთაგან უმეტესობა მცველია*



მარკ იულიანო

**დღეს** „იუვენტუსის“ განაცხადში შვიდი ცენტრალური მცველია. თუმცა რეალურად ჩვენ მოედანზე მხოლოდ ორს ვხედავთ, ფაბიო კანავაროსა და ლილიან ტურამს. ამბობენ, რომ ლეგროტალიე თავის „კიევოს“ დროინდელ დამრიგებელს, დღეს „რომას“ თავკაცს, ლუიჯი დენ ნერის დაუბრუნდება. თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ ლეგროტალიეს „რომაში“ გადასვლა „რომასგან“ კრისტიან კივუს გამოთხოვნასაც ნიშნავდეს, მაგრამ ეს მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ამ დღეებშივე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კივუ, ფაქტობრივად, „მილანს“ ჰყავს დაბევებული.

ხორვატი ტუდორის შეძენა ძალიან სდომებია ლიეჟის „სტანდარდს“, მაგრამ ლიეჟელთა სიმპათია ამ მცველისადმი, როგორც ჩანს, ცალმხრივია. ამბობენ, რომ ხორვატს ცოცხალი თავით არ უნდა ბელგიაში გადასვლა. არ არის გამორიცხული, ტუდორისადმი ინტერესი „იუვენტუსის“ ყველაზე დიდმა მტერმა, „ფიორენტინამ“ გამოიჩინოს.

ყველაზე მეტი წინადადება კი მარკ იულიანოს აგენტის მაგიდაზე დევს. უპირველეს ყოვლისა გასანიხილება გლაზგოს „სელტიკის“ წინადადება, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ იულიანო სამშობლოში დარჩენას ამჯობინებს, მის მყიდველებს თვლა არ ექნებათ: „ბოლონია“, „სამპდორია“, სიენა“...

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ნახევარმცველს, ალესიო ტაკინარდის, იგი თუ წავა, ალბათ ისევ „ბარსელონაში“.

**პაპუნა ქედია**

*„ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ, ბოლოს და ბოლოს, ხმამაღლა განაცხადა, რომ გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელს, მიმო კაზოს თანამდებობიდან გაანთავისუფლებს*


მიმო კაზო

# კარგად, კარგო ადამიანო

## ლაციო კაზოს გაეყარა

**„გუნდში** ცვლილებები მოხდება და კაზო თანამდებობას დატოვებს. წავა რამდენიმე ფეხბურთელიც — განაცხადა რომაელთა შეფმა — კაზო ძალიან კარგი ადამიანია, რომელსაც ხელი საკუთარი შეცდომების გამო არ მოსცარვია. ის შესაძლოა, ცოტა ზედმეტად დამთმობი იყო და სულ ეს არის“.

მოგეხსენებათ, „ლაციოს“ მწვრთნელის მომავალი ბოლო კვირების განმავლობაში ეჭვის ქვეშ იყო და აი, გუნდის ყველა ქომაგმა პრეზიდენტისგან უკვე გადაჭრით ნათქვამი მოისმინა. მიმო კაზოს სავარაუდო შემცვლელთა შორის არიან ჯუზეპე პაპადოპულო, ჯანკარლო კამოლეზე და ჯიჯი მაიფრედი.

„მომავალი მწვრთნელი აუცილებლად იქნება პროფესიონალი, კომპეტენტური და თავდადებული — დასძინა ლოტიტომ, რომელიც თავის მხრივ განერვიულებული ქომაგების ზეწოლას განიცდის — ქომაგებმა ჯობს შობის დღესასწაულზე იმხიარულონ. ჩვენ სერია B-ში არასდროს გავვარდებით, ამის გარანტია მე ვარ“.

შემდეგ, პრეზიდენტმა უარყო ხმები, რომ ახალი წლის შემდეგ გუნდიდან შეიძლება მასიმო ოდო წავიდეს.

„ოდოს ჩემთვის არასდროს უთქვამს, რომ გუნდიდან წასვლა უნდა. გარდა ამისა, ასე იქნება თუ ისე, მის მომავალს კლუბი გაარკვევს“ — ბრძანა ლოტიტომ, რომლის გუნდს 6 იანვარს არც მეტი, არც ნაკლები, რომაული დერბი ელის.

**პაპუნა ქედია**

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი. XVII ტური

**ბარსელონა 2:1 ლევანტე**

1:0 დეკო (29), 1:1 ჟოფრე (60), 2:1 ეტოო (87)
ბარსელონა: რუბენი, დამია (მესი 58), პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ბელეტი, ხავი, ინიესტა, დეკო, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ლევანტე: მორა, პინილიოსი, ალექსისი, კულებრასი, დესკარგა, სელესტინი, რივერა, ეტიენი (ხუანმა 88), ჟოფრე, ნაჩო (კამაჩო 73), მანჩევი (სერხიო გარსია 64)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: რივერა, ეტიენი, დამია, ალექსისი, ოლეგერი, ბელეტი, ვან ბრონკჰორსტი, კამაჩო
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
51 368 მაყურებელი

**ბეტისი 1:0 ატლეტიკო**

1:0 ხოაკინი (7)
ბეტისი: დობლასი, მელი, ხუანიტო, რივასი, ტაისი (ვარელა 68), ხოაკინი, არზუ, მ. ასუნსაო, ედუ, ფერნანდო (კანიასი 64), რ. ოლივეირა
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სერხი (მუსამპა 59), პაბლო, პერეა (პაუნოვიჩი 80), აგილერა, ანტონიო ლოპესი, მარსელო სოსა (ხორხე 46), ლუქსენი, იბაგასა, ფ. ტორესი, სალვა
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: ხუანიტო, ედუ, ხუანიტო
გაძევება: ხუანიტო (78)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
25 000 მაყურებელი

**რეალი 0:1 სევილია**

0:1 ბაპტისტა (18)
რეალი: კასილიასი, სალგადო, ვ. სამუელი, ი. ელგერა, რაულ ბრავო, ფიგუ, ბექემი (რონალდო 46), გუტი, ზიდანი, რაული, ოუენი (სოლარი 59)
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, სერხიო რამოსი, დანიელ ალვესი, რენატო (კასკერო 88), ხესული (ხორდი 79), კარლიტოსი (ხესუს ნავასი 62), ბაპტისტა, მარტი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: სამუელი, სალგადო, ფიგუ, ბაპტისტა
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
57 000 მაყურებელი

**ვალენსია 3:0 ესპანიოლი**

1:0 ბარახა (11), 2:0, 3:0 მისტა (81, 87)
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა, დ. ნავარო, მორეტი, ფიორე, ბარახა, ხისკო (ფაბიო აურელიო 76), ანგულო (რუფეტე 76), აიმარი (კორადი 82), მისტა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ესპანიოლი: კამენი, იბარა, დავიდ გარსია, ლოპო, პოჩეტინიო, მინამბრესი (მარტინ პოსე 12), მორალესი, იტო (ხარკე 68), მაქსი როდრიგესი (ფრედსონი 70), ტამუდო, ოსკარ სერანო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: აიმარი, ფიორე, იბარა, ლოპო, ტამუდო, ტამუდო, ოსკარ სერანო, ოსკარ სერანო, პოჩეტინიო, მორალესი, მარტინ პოსე
გაძევება: ტამუდო (42), ოსკარ სერანო (42)
მსაჯი: ესკინას ტორესი
45 000 მაყურებელი

**ბილბაო 4:0 მალიორკა**

1:0 იესტე (6), 2:0 ესკერო (10), 3:0 გურპეგი (77), 4:0 იესტე (88)
ბილბაო: არანსუბია, პრიეტო, ორბაისი (ტიკო 62), მურილიო, დელ ორნო, იესტე, ირაოლა (სესარი 80), გურპეგი, ესკერო (კასასი 82), ეზებერია, ურსაისი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

# უცნაურია პერესი გატყდა?


REUTERS მადრიდიდან

ბექჰემმა და „რეალმა“ საზიზღრად ითამაშეს

მალიორკა: მოია, რამისი, დავიდ კორტესი, პოლი, ბალესტეროსი, კამპანო (ხორხე ლოპესი 85), ფარინოსი, არანგო, მარკოსი (დელიბაშიჩი 67), ლუის გარსია (ტუნი 60), პერერა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: მოია, ორბაისი, მარკოსი, იესტე, პოლი, პოლი
გაძევება: პოლი (87)
მსაჯი: რუბინოს პერესი
30 000 მაყურებელი

**მალაგა 1:5 სოსიედადი**

0:1 კოვაჩევიჩი (12), 1:1 რომერო (41), 1:2 კოვაჩევიჩი (53), 1:3 ლაბაკა (60), 1:4, 1:5 ნიჰათი (75, 83)
მალაგა: კალატაიუდი, ვალკარსე, ფ. სანსი, ხუანიტო, ხერარდო, მ. რომერო (ი. ლეკო 75), დუდა, მიგელ ანხელი, ამოროზო (პაკო ესტებანი 60), ედგარი (ხუან როდრიგესი 85), ვანჩოპე
მწვთრნელი: გრეგორიო მანსანო
სოსიედადი: ალბერტო, როსატო (გარიდო 77), ლუის ალბერტო, ლაბაკა, ლოპეს რეკარტე, კარპინი, არანზუბუ, გაბილონდო, მიკელ ალონსო, კოვაჩევიჩი (გარი ურანგა 86), ნიჰათი
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: რომერო, ხერარდო, ხერარდო
გაძევება: ხერარდო (78)
მსაჯი: კარმონა მენდესი
12 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:3 სარაგოსა**

0:1 ჩანი (35), 1:1 პაბლო ამო (49), 2:1 ლუკე (52), 2:2 მილიტო (56), 2:3 ვილა (68)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ჟორჟე ანდრადე, პაბლო ამო (დუშერი 70), მაურო სილვა, სერხიო (ფრანი 46), სკალონი, ვალერონი, ტრისტანი, მუნიტისი (ვიქტორი 76), ლუკე
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სარაგოსა: ლუისი, ალვარო, გ. მილიტო, ტოლედო, ჩანი, სავიო (გალეტი 89), პონციო, ოსკარი (სორიანო 86), მოვილია, საპატერი, ვილა (დ. პირი 84)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: ჟორჟე ანდრადე, ტოლედო, ვალერონი
გაძევება: სკალონი (88)
მსაჯი: რამირეს დომინგესი
20 000 მაყურებელი

**ოსასუნა 2:0 ნუმანსია**

1:0, 2:0 ჩენგე მორალესი (49, 68)
ოსასუნა: ელია, კრუჩაგა, ხოსეჩო, ექსპოზიტო, კორალესი, პუნიალი, ვალდო (ორტისი 76), მუნიოსი, დელპორტი (მოა 67), ვებო (ივან როსადო 61), ჩენგე მორალესი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ნუმანსია: ხუანმა, პინიოლი, ოჩოა, ველასკო, ხაიმე მოლინა, პაბლო სანსი, პალასიოსი, ტევენეტი, პინედა (მერინო 86), ჩ. ლი (ხუანლუ 59), ოსორიო (მიგელ პერესი 78)
მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი
გაფრთხილება: მუნიოსი, ექსპოზიტო
მსაჯი: მეხია დავილა
12 000 მაყურებელი

**ალბასეტე 2:2 ვილიარეალი**

1:0 პაჩეკო (15), 1:1 ფორლანი (31), 1:2 გიარე (34), 2:2 პაჩეკო (86)
ალბასეტე: გასპერჩიჩი, ოსკარ მონტიელი, რუბენი (მიკელი 51), მარკ გონსალესი, პაკო პენია, ბუადესი, ხაიმე (ფრანსისკო 63), რედონდო (დავიდ სანჩესი 63), ალვარო, რუბენ კასტრო, პაჩეკო
მწვრთნელი: ხოსე გონსალესი
ვილიარეალი: რეინა, გონსალო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, სორინი (მარკოს სენა 63), ხავი ვენტა, ხოსიკო, რიკელმე, ექტორ ფონტი, ფორლანი (არმანდუ სა 81), გიარე (ხოსე მარი 73)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: არუაბარენა, არუაბარენა, რიკელმე, მარკოს სენა
გაძევება: არუაბარენა (77)
მსაჯი: უნდიანო მალენკო
13 000 მაყურებელი

**ხეტაფე 2:0 რასინგი**

1:0, 2:0 რიკი (5, 32)
ხეტაფე: სანჩეს ბროტო, იანგუასი, მ. პერნია, ნანო, ბელენგერი, დ. რივასი, გაბი, ვივარ დორადო, გალიარდო (მარიო კოტელო 58), კრაიოვიანუ (მიჩელი 77), რიკი (პაჩონი 66)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
რასინგი: აუატე, კასარი (მორანი 46), აიოზი, მორატიონი, ხუანმა, ნაფტი (პედრო ლოპესი 48), დ. ანდერსონი, ბერტინი (არისმენდი 68), აგანსო, ხავი გერერო, ბენაიუნი
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: გაბი, კრაიოვიანუ, რივასი, მორატიონი, იანგუასი, აგანსო
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
11 000 მაყურებელი

„სევილიას“ „რეალისთვის“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ოცი წელი ვერ მოეგო და როგორც იქნა, ნავსი გატეხა. თუმცა, ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, „რეალმა“ ისე საზიზღრად ითამაშა, ვისთანაც გინდა წააგებდა. საზიზღრად თამაშში მხოლოდ იმას არ ვგულისხმობთ, რომ მადრიდელებს არაფერი გამოსდიოდათ და პირველ ტაიმში მაიკლ ოუენის ერთი სახიფათო დარტყმის გარდა მომენტი არ ჰქონდათ — მთავარი ის არის, რომ მათ თამაშის, ბრძოლის სურვილის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდათ.

სევილიელთაგან გამარჯვების გოლი ბრაზილიელმა ჟულიო ბაპტისტამ გაიტანა, საგოლე დარტყმამდე კი მასპინძელთა ცენტრალური მცველები გააპამპულა. იმავ ბაპტისტას კიდევ იმდენი უნალდესი მომენტი ჰქონდა, პირდაპირ გასაკვირია, „სევილიამ“ დიდი ანგარიშით როგორ ვერ მოიგო. ამ მატჩის მერე კი, ვინძლო, ფლორენტინო პერესსაც აღარ უნდა შერჩენოდა ჩემპიონობის იმედი. არადა, გეხსომებათ, „კამპ ნოუზე“ წაგების მერე ამბობდა, არაფერი მომხდარა, „ბარსელონას“ გადასწრების შანსი კიდევ გვაქვსო. ახლა „რეალი“ „ბარსელონას“ მთელი 13 ქულით ჩამორჩება.

„ვალენსიამ“ მეორე ადგილიდან ჩამოაგდო „ესპანიოლი“, რაც ფრიად უცნაურ გარემოებაში მოხდა. მასპინძლები ადრიანად დაწინაურდნენ რუბენ ბარახას ულამაზესი საჯარიმო დარტყმით, რის მერეც თამაში მეტ-ნაკლებად გათანაბრდა. პირველი ტაიმის ბოლოს კი ნახსენები უცნაურობის მომსწრენი შევიქმენით: საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მასპინძლებმა ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს. ამ დროს კი, ხომ იცით, როგორც ხდება — დამრტყმელი ცდილობს ბურთი ორიოდ გოჯით წინ დადოს, ცოცხალი კედელი კი 9-მეტრიანი დისტანციის შემცირებას ლამობს. მოკლედ, ჩვეულებრივი ამბავია. ამ ჩვეულებრივ ამბავში კი გამწარებულმა მსაჯმა, როგორ არ მემორჩილებიანო, ერთბაშად ორი ესპანიოლელი ფეხბურთელი გააძევა. მათგან ერთი კატალონიელთა სუპერმეგოლე რაულ ტამუდო იყო.

„ესპანიოლს“ მთელი მეორე ტაიმი 9 ფეხბურთელით უნდა ეთამაშა და [illegible] უნდა გატეხილიყო. აქ კი მეორე უცნაურობას გადავაწყდით: „ესპანიოლმა“ „ვალენსიას“ ტოლი არაფერში დაუდო და ვერც იგრძნობდით, ორი ფეხბურთელი თუ აკლდა. მაგრამ საბოლოოდ ძალამ აღმართი მოხნა და ბოლო წუთებზე მიგელ ანხელ მისტამ სტუმრებს კიდევ ორი გოლი გაუტანა.

ძალიან უცნაური გამოდგა „დეპორტივოსა“ და „სარაგოსას“ მატჩიც. სარაგოსელებს მიჯრით შვიდი თამაში ვერ მოეგოთ და „რიასორზე“ თუ მოიგებდნენ, ძნელი წარმოსადგენი იყო.

ჩანის გოლმა ყველაფერი არია, „სარაგოსა“ 35-ე წუთზე დაწინაურდა, თუმც მეორე ტაიმის საწყის შვიდწუთიან მონაკვეთში ლაკორუნიელებმა სტუმრებს ორი ბურთით უპასუხეს და თითქოს ყველაფერი დალაგდა. ოთხ წუთში კი ისევ აირია — გაბრიელ მილიტომ გაათანაბრა, მერე დავიდ ვილამ სარაგოსელთა გამარჯვებისა შეაგდო და „დეპორტივოც“ ცხრილში მე-13 ადგილზე ჩაცურდა.

**ქოტე ქექელია**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბარსელონა | 17 | 13 | 3 | 1 | 35:11 | 24 | 42 | 9 | 8 | 1 | 0 | 22:4 | 18 | 25 | 8 | 5 | 2 | 1 | 13:7 | 6 | 17 |
| 2 ვალენსია | 17 | 9 | 5 | 3 | 27:12 | 15 | 32 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:5 | 10 | 20 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:7 | 5 | 12 |
| 3 სევილია | 17 | 9 | 4 | 4 | 21:18 | 3 | 31 | 8 | 7 | 1 | 0 | 14:4 | 10 | 22 | 9 | 2 | 3 | 4 | 7:14 | -7 | 9 |
| 4 ესპანიოლი | 17 | 9 | 3 | 5 | 18:12 | 6 | 30 | 8 | 5 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 17 | 9 | 4 | 1 | 4 | 9:7 | 2 | 13 |
| 5 რეალი | 16 | 9 | 2 | 5 | 24:12 | 12 | 29 | 8 | 6 | 0 | 2 | 16:3 | 13 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | -1 | 11 |
| 6 ოსასუნა | 17 | 8 | 3 | 6 | 27:25 | 2 | 27 | 9 | 6 | 2 | 1 | 19:10 | 9 | 20 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | -7 | 7 |
| 7 ბეტისი | 17 | 7 | 6 | 4 | 22:20 | 2 | 27 | 9 | 5 | 3 | 1 | 13:11 | 2 | 18 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:9 | 0 | 9 |
| 8 ატლეტიკო | 17 | 7 | 4 | 6 | 18:14 | 4 | 25 | 8 | 6 | 2 | 0 | 12:4 | 8 | 20 | 9 | 1 | 2 | 6 | 6:10 | -4 | 5 |
| 9 ბილბაო | 17 | 7 | 3 | 7 | 24:20 | 4 | 24 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:7 | 10 | 20 | 8 | 1 | 1 | 6 | 7:13 | -6 | 4 |
| 10 ვილიარეალი | 17 | 5 | 7 | 5 | 21:14 | 7 | 22 | 8 | 4 | 3 | 1 | 12:2 | 10 | 15 | 9 | 1 | 4 | 4 | 9:12 | -3 | 7 |
| 11 სოსიედადი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:19 | 2 | 22 | 8 | 4 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 14 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:11 | 1 | 8 |
| 12 სარაგოსა | 17 | 6 | 4 | 7 | 24:26 | -2 | 22 | 8 | 5 | 0 | 3 | 16:12 | 4 | 15 | 9 | 1 | 4 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 13 დეპორტივო | 17 | 5 | 7 | 5 | 22:25 | -3 | 22 | 9 | 2 | 4 | 3 | 12:17 | -5 | 10 | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 2 | 12 |
| 14 ლევანტე | 17 | 6 | 3 | 8 | 18:24 | -6 | 21 | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:18 | -9 | 7 |
| 15 ხეტაფე | 17 | 5 | 3 | 9 | 16:21 | -5 | 18 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:9 | 2 | 15 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:12 | -7 | 3 |
| 16 ალბასეტე | 17 | 3 | 7 | 7 | 15:24 | -9 | 16 | 9 | 2 | 4 | 3 | 6:8 | -2 | 10 | 8 | 1 | 3 | 4 | 9:16 | -7 | 6 |
| 17 რასინგი | 17 | 4 | 4 | 9 | 15:25 | -10 | 16 | 8 | 2 | 4 | 2 | 9:9 | 0 | 10 | 9 | 2 | 0 | 7 | 6:16 | -10 | 6 |
| 18 მალაგა | 17 | 4 | 3 | 10 | 12:27 | -15 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:13 | -4 | 11 | 8 | 1 | 1 | 6 | 3:14 | -11 | 4 |
| 19 მალიორკა | 17 | 3 | 4 | 10 | 15:28 | -13 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:14 | -5 | 5 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 8 |
| 20 ნუმანსია | 17 | 3 | 3 | 11 | 10:28 | -18 | 12 | 8 | 3 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 12 | 9 | 0 | 0 | 9 | 3:20 | -17 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 13 |
| რ. ოლივეირა (ბეტისი) | 9 |
| ბაპტისტა (სევილია) | 8 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 8 |
| ურსაისი (ბილბაო) | 8 |
| რონალდო (რეალი) | 8 |

**XVIII ტური**

8-9 იანვარი, 2005

| | |
|---|---|
| ატლეტიკო | რეალი |
| ესპანიოლი | ოსასუნა |
| რასინგი | მალაგა |
| სოსიედადი | ალბასეტე |
| სევილია | ხეტაფე |
| ვალენსია | ლევანტე |
| სარაგოსა | ბეტისი |
| მალიორკა | დეპორტივო |
| ვილიარეალი | ბარსელონა |
| ნუმანსია | ალბასეტე |

## სეგუნდადივიზიონი

XVIII ტური

**ეიბარი 1:2 უელვა**

1:0 ფაგოაგა (23), 1:1 უჩე (59), 1:2 ვიკეირა (89)

**ვალიადოლიდი 3:2 სალამანკა**

1:0 ადურიცი (2), 1:1 ხუან აურელიო (16ს.კ.), 1:2 ლუპიდიო (23ვ), 2:2 რობლესი (39), 3:2 ვიქტორი (87)

**ლეიდა 0:2 სპორტინგი**

0:1 იზურზუნი (32), 0:2 სამველი (44ვ)

**კორდობა 0:3 ალავესი**

0:1 ბოდიპო (6), 0:2 სარიეგი (35), 0:3 რუბენ ნავარო (46)

**სიუდად მურსია 0:0 კადისი**

**ტერასა 1:4 სელტა**

0:1 კანობიო (8), 0:2 ხოსე იგნასიო (47), 0:3 სანჩესი (70), 1:3 ლუის ლოპესი (71ვ), 1:4 ხანდრო (84)

**ხერესი 0:1 მურსია**

0:1 კუადრადო (21)

**ალმერია 1:1 ხიმნასტიკი**

1:0 აკასიეტე (42), 1:1 ალფონსო (44)

**ელჩე 3:1 პოლი ეხიდო**

1:0, 2:0 ნინო (2, 44), 3:0 ალფრედო (54), 3:1 პედრო ვეგა (58)

**ტენერიფე 1:1 მალაგა B**

1:0 ხესუსი (11), 1:1 პერიკო (27)

**პონტევედრა — ფეროლი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კადისი | 18 | 11 | 4 | 3 | 28:10 | 37 |
| ალავესი | 18 | 10 | 5 | 3 | 32:20 | 35 |
| ელჩე | 18 | 9 | 4 | 5 | 26:20 | 31 |
| ეიბარი | 18 | 9 | 4 | 5 | 24:19 | 31 |
| სელტა | 18 | 7 | 9 | 2 | 24:17 | 30 |
| ვალიადოლიდი | 18 | 8 | 6 | 4 | 26:21 | 30 |
| ხიმნასტიკი | 18 | 8 | 4 | 6 | 18:17 | 28 |
| უელვა | 18 | 7 | 6 | 5 | 15:12 | 27 |
| ხერესი | 18 | 7 | 6 | 5 | 15:15 | 27 |
| ფეროლი | 17 | 6 | 8 | 3 | 22:15 | 26 |
| ლეიდა | 18 | 7 | 4 | 7 | 19:20 | 25 |
| პოლი ეხიდო | 18 | 6 | 6 | 6 | 20:17 | 24 |
| ალმერია | 18 | 6 | 6 | 6 | 17:15 | 24 |
| სპორტინგი | 18 | 6 | 6 | 6 | 18:17 | 24 |
| ტენერიფე | 18 | 5 | 8 | 5 | 17:20 | 23 |
| ტერასა | 18 | 6 | 3 | 9 | 21:24 | 21 |
| სალამანკა | 18 | 5 | 5 | 8 | 19:23 | 20 |
| მალაგა B | 18 | 5 | 5 | 8 | 15:23 | 20 |
| მურსია | 18 | 4 | 4 | 10 | 13:25 | 16 |
| სიუდად მურსია | 18 | 2 | 9 | 7 | 20:30 | 15 |
| პონტევედრა | 17 | 2 | 5 | 10 | 16:28 | 11 |
| კორდობა | 18 | 1 | 3 | 14 | 7:24 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადრიდში თეთრი ღამეებია



რემონი: „ბარსელონას“ დაწევა უსაშველოდ ძნელია

*„ბარსელონას“ თავგადაკლული გულშემატკივრები კმაყოფილები კი არიან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ პრიმერადივიზიონს ინტრიგა მოაკლდა — ვინ გახდება ესპანეთის ჩემპიონი, ლამის ასპროცენტიანი სიზუსტით შეგვიძლია ვივარაუდოთ.*

*ამაში კი „დამნაშავე“ პირველ რიგში თავად „ბარსელონაა“, თამაშს თამაშზე რომ იგებს. მაგრამ სხვა დამნაშავეებიც შეგვიძლია მოვძებნოთ. მაგალითად, „რეალი“, რომელმაც ფავორიტისთვის უკადრებლად ბევრი ქულის დაკარგვის უფლება მისცა თავს*

აგერ ბოლო ტურიც, რომელშიც „რეალმა“ საკუთარ სტადიონზე კი არ ითამაშა, იცოდვილა და ისე ჩანდა, ფეხბურთელებს ერთი სული ჰქონდათ, 90 წუთი როდის გაილეოდა.

ბუნებრივია, ნამატჩევს ბლომად კომენტარიც გაკეთდა, რომელშიც მადრიდელთა ბოსებს თავის მართლების გარდა არაფერი დარჩენოდათ.

*მარიანო გარსია რემონი*, „რეალის“ მწვრთნელი:

— ცხადია, გულდასაწყვეტია, როცა გესმის, როგორ გისტვენს შენივე გულშემატკივარი, მაგრამ ეს ნორმალური ამბავია. როცა ხალხს რაღაც არ მოსწონს, ის ყოველთვის გისტვენს. ჩვენს თამაშში კი მოსაწონი ნამდვილად არაფერი იყო...

— გულშემატკივარს არც ის მოეწონა, მაიკლ ოუენი რომ შევცვალე. მე ის გავაკეთე, რაც საჭიროდ ჩავთვალე და დამეთანხმებით, თამაში ამ შეცვლის გამო არ წაგვიგია. ჩვენ პირველი წუთიდანვე ცუდად ვთამაშობდით...

— რატომ არ იყო რონალდო სასტარტო შემადგენლობაში, ამაზე საუბარს ნაღდად არ ვაპირებ...

— „ბარსელონას“ დაწევა დღეს უსაშველოდ ძნელია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ბრძოლას შევწყვეტთ. ყოველ მომდევნო მატჩზე „რეალი“ მოსაგებად გავა...

— ფეხბურთელებიც ძალიან ცუდ ხასიათზე არიან, მათ გულშემატკივარი ვერაფრით გაახარეს. ვფიქრობ, საშობაო არდადეგებმა სულზე მოგვისწრო. ახლა დასვენების, ძალების მოკრეფის და შეცდომების გაანალიზების დრო გვაქვს...

მომდევნო კომენტარი კი *ემილიო ბუტრაგენიოს* ეკუთვნის, „რეალის“ ახალ ვიცე-პრეზიდენტს:

— „სევილიამ“ ყველა კომპონენტში დაგვჩაგრა და დამსახურებულად დაგვამარცხა. როგორც ვატყობ, ჩვენი მთავარი პრობლემა გადაღლაა, დაღლილობის წამალი კი საშობაო არდადეგებია. იმედი მაქვს, 2005 წელი სულ სხვანაირი იქნება. ჩვენს გულშემატკივრებს საშობაოდ კარგ დროსტარებას ვუსურვებ...

ალბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ ბუტრაგენიო ძველებურად სპორტულ დირექტორად კი არა, ვიცე-პრეზიდენტად მოვიხსენიეთ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ბუტრაგენიოს ყოფილი პოსტი იტალიიდან ჩაყვანილმა არიგო საკიმ დაიკავა, თავად კი ერთი საფეხურით მაღლა ავიდა. ეს დანიშვნები „რეალ“ — „სევილიას“ მატჩის წინა დღეს მოხდა, რაზეც ბუტრაგენიომ თქვა: „გუშინ ღამით საერთოდ არ მიძინია. მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, ამ ცვლილებებმა კლუბს რა უნდა მოუტანოს. ჩემი ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნით ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემთვის ეს უდიდესი პატივია და ვეცდები, იმედი არავის გავუცრუო. არიგო საკი კი ჯერჯერობით ინფორმაციის შეგროვებითაა დაკავებული. ჩვენ მას კლუბში არსებულ ვითარებას დეტალურად ვაცნობთ. ამის მერე ის კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს“.

საკი კი მადრიდში თამაშის დღეს, იქაური დროით 15 საათზე ჩაფრინდა. აეროპორტში იტალიელს რამდენიმე ათეული გულშემატკივარი და ჟურნალისტი დახვდა. თუმცა საკიმ ჩასვლისთანავე ინტერვიუების დარიგებაზე უარი თქვა — თბილი დახვედრისთვის მადლობას გიხდით, საუბარი კი ხვალისთვის გადავდოთო. ამის მერე საკი სასტუმროში წავიდა, ისადილა, საღამოს კი „ბერნაბეუზე“ ემილიო ბუტრაგენიოს გვერდით იჯდა და „რეალის“ საცოდაობას უყურებდა.

გუშინ კი *არიგო საკიმ* მოზრდილი კომენტარიც გააკეთა:

— ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ლეგენდარულ კლუბში მუშაობა და გარწმუნებთ, მთელ ჩემს ცოდნას გამოვიყენებ იმ ამოცანების შესასრულებლად, რისთვისაც „რეალმა“ მომიწვია. მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ არანაირი ჯადოსნური ჯოხი არ გამაჩნია, თუმცა საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ. მე ოპტიმისტი ვარ და მირჩევნია ვთქვა, ჭიქა სანახევროდ სავსეამეთქი, ვიდრე სანახევროდ ცარიელი. ამიტომაც ვთვლი, რომ თუნდაც ამ სეზონში, „რეალს“ კიდევ აქვს ჩემპიონობის შანსი. ბოლოს და ბოლოს, გაიხსენეთ, წინა სეზონში „ბარსელონა“ „რეალს“ 18 ქულით ჩამორჩებოდა, ბოლოს კი მის წინ აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, გუშინ როგორც ვითამაშეთ, ეგეთი თამაშით ვერაფერს მივაღწევთ. კი, ბატონო, გუნდში პრობლემები რომ არის, ეს აშკარაა, მაგრამ გადაუჭრელიაო, ვერ ვიტყვი. ისიც მინდა დავძინო, რომ მწვრთნელის შეცვლა მართებულად არ მიმაჩნია. მარიანო რემონს უდიდესი ნდობა აქვს. ვერც იმ მოსაზრებას დავეთანხმები, რომ „რეალის“ ვარსკვლავები ძველებურად ველარ თამაშობენ. დამიჯერეთ, ნებისმიერი კლუბი იოცნებებდა თითოეული მათგანის ყოლაზე“...

**კოტე კეკელია**




საკი: „რეალს“ ჩემპიონობა შეუძლია
ბუტრაგენიო: ღამით საერთოდ არ მძინავს






ამბობენ, რობერტო კარლოსს „რეალში“ კრისტიან კივუ შეცვლისო

# კივუს შანსი რობერტო კარლოსის პატრონია

„რომას“ რუმინელი მცველი, კრისტიან კივუ „რეალს“ მონდომებია. აშკარაა, კივუს შეძენის სურვილი მადრიდელებს რობერტო კარლოსის გაყიდვის პერსპექტივამ გაუჩინა.

შეგახსენებთ, რომ „რეალს“ იტალიელი სპეციალისტი, არიგო საკი ფეხბურთის დირექტორად დაუნიშნეს და კივუც, როგორც ჩანს, მისი რჩეულია. სხვა საქმეა, რომ კივუს რომაელებთან 2008 წლამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული და გარდა ამისა, მის გადაბირებას არანაკლები მონსტრები, „მილანი“ და „იუვენტუსი“ ცდილობენ.

დავუბრუნდეთ „რეალიდან“ რობერტო კარლოსის გაშვების თემას. ცნობილი ამბავია, რომ დიდი ბრაზილიელი მცველის ურთიერთობა „სამეფო გუნდთან“ გაუარესებულია და იგი შესაძლოა ამ შობასვე წავიდეს მადრიდიდან. ჭორების თანახმად, რობერტო კარლოსი შეიძლება „ინტერშიც“ კი წავიდეს. საქმე ისაა, რომ იგი „შავ-ლურჯების“ წევრი 1990 წლების შუაში უკვე იყო. ასე რომ, თუ წავა, ნაცნობ ადგილზე ამოჰყოფს თავს. დავძინოთ, რომ რობერტო კარლოსი „ინტერის“ მეპატრონის, მასიმო მორატის ფავორიტია.

**პაპუნა კედია**

# ემილიომ სია წაიკითხა

## რობინიო, ედუ, პედრეტი...

მადრიდის „რეალმა“ დაადასტურა, რომ არსენალელი ედუს გადაბირებით დაინტერესებულია.

26 წლის ბრაზილიელი ლონდონურ კლუბში 2001 წელს 6 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ გადავიდა და „მეთოფეებთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება.

„არსენალმა“ უკვე ორჯერ შესთავაზა ედუს კონტრაქტის გახანგრძლივება, მაგრა „მეთოფეთა“ ნახევარმცველმა განაცხადა, სამი ესპანური კლუბი („რეალი“, „ბარსელონა“ და „ვალენსია) მეპატიჟება და პრიმერადივიზიონში გადასვლა მირჩევნიაო.

„რეალის“ ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომაც უმალ აღნიშნა, ედუ სავარაუდო შესაძენ ფეხბურთელთა ნუსხაში გვყავს, ისევე როგორც კიდევ ერთი ბრაზილიელი რობინიო და ფრანგი ბენუა პედრეტიო.

**ვაჟა ხუციშვილი**







# როი კინმა წასვლა გადადო



„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა მხარი დაუჭირა კაპიტნის, როი კინის გადაწყვეტილებას, ჯერ არ დაანებოს ფეხბურთის თამაშს თავი. საქმე ის არის, რომ 33 წლის ირლანდიელს ბოლოს ფეხბურთიდან წასვლის თარიღად 2006 წლის ივნისი ჰქონდა ნათქვამი, „მანჩესტერთან“ კონტრაქტის ამოწურვის დრო, მაგრამ როგორც ჩანს, თავს ვერც უძლურება დაატყო და მეტიც, იგრძნო, რომ „იუნაიტედში“ (სადაც 1993 წელს „ნოტინგემ ფორესტიდან“ გადავიდა) კიდევ სჭირდებათ.

„ის ფანტასტიკურ ფორმაშია. ძალიან მიკვირს ასეთ ასაკში ამდენს როგორ ახერხებს — ბრძანა ფერგიუსონმა — თუ ასე თამაშს განაგრძობს, ძალიან მენდომება, რომ ჩვენთან დარჩეს“.

კინმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბოლო ექვსი თამაშიდან ხუთში მითამაშა და ლიდერს, „ჩელსის“ 9 ქულამდე შეუმცირა სხვაობა.

„ჩვენ ფორმაში შევდივართ. დეკემბერში პერიოდულად გამოხტება ხოლმე ცუდი თამაშები, სადაც ქულებს დაკარგავ, მაგრამ ეგ არაფერი. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ფორმაში სწორ დროს და სწორად შევდივართ. როდესაც 4 იანვარამდე პრემიერლიგურ მატჩებს მოვილევთ, შემდეგი მატჩი ფეხბურთის ასოციაციის თასზე გვექნება და მაშინ უკვე დავასკვნით, სად ვართ ჩვენ, სად დანარჩენი ლიგა და გულწრფელად რომ გითხრათ, იმედი მაქვს, ლიდერებში ამოვყობთ თავს“ — ამბობს როი კინი.

**პაპუნა ძიდია**

# ლატური: მთავარი კალია



**ციურიხის** „გრასჰოპერმა“ ახალ მწვრთნელს მიაგნო — „კალიების“ თავკაცად ჰანს-პეტერ ლატური დანიშნეს. ციურიხელებმა 57 წლის ლატური „თუნიდან“ გადაიბირეს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ქვედა დივიზიონებში თამაშობდა და შარშან სწორედ ლატურის ხელქვეით სუპერლიგაში გადავიდა.

შვეიცარიის 27-გზის ჩემპიონ „გრასჰოპერს“ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში „ბაზელი“ აშკარად ჩაგრავს. „კალიები“ ამჟამად მეშვიდე ადგილზე არიან და ბოლო საფეხურზე მყოფ „შაფჰაუზენს“ ექვსი ქულით უსწრებენ.

„გრასჰოპერის“ ბიუჯეტთან შედარებით „თუნის“ შემოსავალი გაცილებით მცირეა, მაგრამ ეს გუნდი ჰანს-პეტერ ლატურის თავკაცობით საკმაოდ კარგად თამაშობს, მეორე ადგილზეა და „ბაზელს“ შვიდი ქულით ჩამორჩება.

„კალიებმა“ ოქტომბერში „ბაზელთან“ 1:8 მარცხის შემდეგ მოხსნეს ალან გეიგერი და გუნდს დროებით კარლოს ბერნეგერი წვრთნიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ახალი გასაყიდი: ვუნდერკინდი რამოსი



**მალე** კვლავ იჩხუბებენ არსენ ვენგერი და სერ ალექს ფერგიუსონი. ჩხუბის მიზეზი კი 8 მილიონ გირვანქად შეფასებული სევილიელი ვუნდერკინდი, სერხიო რამოსი იქნება.

ორივე მწვრთნელმა სკაუტები გაგზავნა ესპანური ფეხბურთის 18 წლის ვარსკვლავზე დასაკვირვებლად „რეალთან“ თამაშზე.

რამოსმა წლეულს, „სევილიაში“ ჩატარებული 17 მატჩიდან 15-ჯერ სასტარტოში ითამაშა და არსენ ვენგერიც სწორედ ამიტომ ამბობს, რომ ყმაწვილი ისეთივე ბრწყინვალე იქნება მისთვის, როგორც ხოსე ანტონიო რეიესი, რომელშიც შარშან 21 მილიონი გადაუხადა ესპანელებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ბერძენმა კვიპროსში ათთვიანი ითხოვა



ანგელოს ანასტასიადისი

**კვიპროსის** ნაკრების თავკაცად ანგელოს ანასტასიადისი დანიშნეს, რომელიც გასულ სექტემბერში ბერძნული პაოკ-ის მწვრთნელობიდან მოხსნეს. საბერძნეთის ეროვნული გუნდის ყოფილმა მოთამაშემ კუნძულელებთან ათთვიანი კონტრაქტი გააფორმა და თუ ამ ხნის განმავლობაში საქმე კარგად წაუვიდა, კიდევ ორ წელსაც მიუმატებენ.

„სამწვრთნელო კარიერაში მხოლოდ საკლუბო დონეზე ვმუშაობდი და ფეხბურთელებთან ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა. ნაკრები ჩემთვის უცხო ხილია და ამიტომ მსურს, ათ თვეში თავი გამოვცადო. თუ გავუმკლავდები, კონტრაქტს კიდევ ორი წლით გავაგრძელებ“ — განაცხადა ახალდანიშნულმა.

ანგელოს ანასტასიადისმა ნოემბერში გათავისუფლებული მომსილო ვუკოტიჩის ადგილი დაიკავა. ვუკოტიჩი კი იმიტომ გაუშვეს, რომ კვიპროსი შინ ისრაელთან 1:2 დამარცხდა. ანასტასიადისის დებიუტი 30 მარტს შვეიცარიასთან მატჩში შედგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბარტონს სიგარა 90 ათასი დაუჯდა

„მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველ ჯოი ბარტონს საშობაო ვახშამი ძვირი დაუჯდა — იგი 90 ათასი გირვანქით დააჯარიმეს.

შეგახსენებთ, რომ ბარტონმა გასულ კვირადღეს სიტელთა ახალგაზრდული გუნდის მოთამაშე ჯეიმს ტენდის გალვივებული სიგარა თვალზე მიადო. სიგარის მიმდებმა თავი იმართლა, ჯეიმსი ჩემი ტანსაცმლის დაწვას ცდილობდა და პროვოკაციაზე წამოვეგეო.

ახალგაზრდა სიტელს ორი კვირის ხელფასი დაუქვითეს, ხოლო დიდს — ექვი კვირისა. „კვირას მომხდარი ამბის შემდეგ კლუბის რეპუტაცია შეირყა — თქვა „მანჩესტერ სიტის“ თავმჯდომარემ ჯონ უორდლმა — ჩვენი ფეხბურთელები გვარიან ჯამაგირს იღებენ და პასუხისმგებლობასაც სათანადოდ უნდა გრძნობდნენ“.

ჯოი ბარტონმა ოფიციალურად მოიბოდიშა, ჩემი საქციელის გამო მრცხვენიაო.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჯოი ბარტონმა თავი ვერ იმართლა



# ყველაფერი ყირამალა

## დაფმა ქალი გააცილა

პრემიერლიგელი ფეხბურთელებისგან ქალებზე ძალადობის ამბავი არაერთხელ ამოტივტივებულა, მაგრამ დამიენ დაფის შემთხვევაში ყველაფერი პირიქით მოხდა. არა, ისე არ გაიგოთ, რომ ქალმა დაფი გააუპატიურა, „ჩელსის“ ირლანდიელმა ირლანდიურად ივაჟკაცა და გოგონა მთვრალი მოძალადეებისგან იხსნა.

ერთ-ერთი ღამის კლუბთან დაფმა შეამჩნია, რომ მავანი უგალეშილესი მოქალაქე მოკლეკაბიანს აეტორღიალა და ალკოჰოლს კოხტა თავ-პირზე აფრქვევდა. დაფს მთვრალისთვის მუშტი არ დაურტყამს, გოგონას თანაკლასელივით ჩაჰკიდა ხელი და სახლამდე მიაცილა, გალეშილმა კი ჩხუბი ვერ გაბედა.

ჯერ უცნობია, ქალმა როგორ გადაუხადა მადლობა მხსნელს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## პორტუგალია

### სუპერლიგა

### გადადებული მატჩი

**მარიტიმუ 1:1 პორტუ**

1:0 ჟაიმე პენია (13), 1:1 ლუის ფაბიანო (32)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 15 | 8 | 5 | 2 | 21:9 | 29 |
| სპორტინგი | 15 | 8 | 4 | 3 | 33:19 | 28 |
| ბენფიკა | 15 | 8 | 4 | 3 | 23:16 | 28 |
| ბოავიშტა | 15 | 8 | 3 | 4 | 18:16 | 27 |
| ბრაგა | 15 | 7 | 5 | 3 | 20:12 | 26 |
| სეტუბალი | 15 | 7 | 3 | 5 | 20:17 | 24 |
| ლეირია | 15 | 5 | 7 | 3 | 18:15 | 22 |
| მარიტიმუ | 15 | 5 | 7 | 3 | 17:15 | 22 |
| რიუ ავე | 15 | 4 | 9 | 2 | 20:18 | 21 |
| გიმარაეში | 15 | 5 | 4 | 6 | 15:16 | 19 |
| ბელენენსეში | 15 | 5 | 3 | 7 | 25:23 | 18 |
| პენაფიელი | 15 | 5 | 2 | 8 | 17:29 | 17 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 4 | 4 | 7 | 17:18 | 16 |
| ეშტორილი | 15 | 4 | 3 | 8 | 17:21 | 15 |
| ნასიონალი | 15 | 4 | 3 | 8 | 16:24 | 15 |
| ბეირა მარი | 15 | 3 | 5 | 7 | 18:29 | 14 |
| აკადემიკა | 15 | 3 | 3 | 9 | 14:22 | 12 |
| მორეირენსე | 15 | 2 | 6 | 7 | 14:24 | 12 |

## საფრანგეთი

### ლიგის თასის მერვედფინალი

**სოშო 0:0(პენ.3:4) *კაენი***

**ოსერი 2:1 ნანტი**

0:1 აპამადა (22), 1:1 პიერონი (78), 2:1 ბენუა შეირუ (88)

### მეოთხედფინალის წილისყრა

ლანსი — სენტ ეტიენი

ოსერი — კაენი

სტრასბური — კლერმონი

მონპელიე — მონაკო

*მატჩები გაიმართება 2005 წლის 18-19 იანვარს*

## ბელგია

### სუპერთასი ფინალი

**ანდერლეხტი 0:2 ბრიუგე**

0:1 ერმანი (8), 0:2 ლანგე (80)

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ბულგარეთის საუკეთესო გერმანელი ბერბატოვია



ბულგარეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად ლევერკუზენის „ბაიერის“ ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი დაასახელეს. გამოკითხვაში, რომელშიც ფეხბურთის სპეციალისტები და ქომაგები მონაწილეობდნენ, ბუნდესლიგელმა კონკურენტები გვარიანად ჩამოიტოვა. 23 წლის ფეხბურთელი „ბაიერის“ მთავარმეგოლეა და მისი გადაბირების სურვილი არაერთმა ევრობობოლა კლუბმა გამოთქვა.

დიმიტარ ბერბატოვამა კარიერა ბლაგოევგრადის „პირინში“ დაიწყო. 18 წლისა ქვეყნის ყველაზე სახელოვან გუნდ სოფიის ცსკა-ში გადავიდა, ოცისა კი უკვე ლევერკუზენის „ბაერნში“ აღმოჩნდა.

ბერბატოვი წლის საუკეთესოდ მეორედ დაასახელეს. პირველად ეს პატივი 2002-ში ერგო. აღსანიშნავია, რომ ხრისო სტოიჩკოვი 24 წლის იყო, როცა მეორედ მიიჩნიეს ქვეყნის ნომერ პირველ ფეხბურთელად.

**გაჟა ხუციშვილი**

# ბაფანა-ბაფანა ბლექბერნშია



„ბლექბერნის“ მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანი აარონ მოკოენა მისი გუნდის მოთამაშე გახდება. 24 წლის ფეხბურთელი „გენკიდან“ პრემიერლიგურ კლუბში 600 ათასი გირვანქის სანაცვლოდ გადადის.

„მოკოენას ცენტრალური მცველობაც შეუძლია და ნახევარდაცვის ცენტრში თამაშიც — თქვა ჰიუზმა — ჩვენ ბელგიურ კლუბთან და თავად ფეხბურთელთანაც უკვე შევთანხმდით“.

მარკ ჰიუზს, რომელმაც „ბლექბერნი“ სექტემბერში ჩაიბარა, იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისას რამდენიმე ახალწვეულის დამატება და გუნდის გაძლიერება სურს. სავარაუდო კანდიდატთა შორისაა „ბირმინგემის“ ნახევარმცველი რობი სევიჯი.

**გაჟა ხუციშვილი**

# მას მერე მე შემაჩერებდი

## ბეკენბაუერის ფავორიტი ანრი იყო





ფიფას მიერ ბრაზილიელი რონალდინიოს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად გამოცხადებიდან რამდენიმე დღის მერე, გერმანელთა ლეგენდამ, ფრანც ბეკენბაუერმა მედიასთან საუბარში თავისი ფავორიტი გაამხილა. „არასოდეს მინახავს ფეხბურთელი, ტიერი ანრიზე უკეთესად რომ ეთამაშოს. „არსენალის“ ფორვარდს მთელი 90 წუთის განმავლობაში ვერავინ შეაჩერებს, ეს შეუძლებელია. საგოლე ხიფათს თითქმის ყოველთვის გამონახავს. ანრის სისწრაფე მისი მთავარი კოზირია“ — განაცხადა კაიზერ ფრაცმა.

1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა აღიარა, რომ ჯადოსნური ფარგის მეურვეობა მასაც დიდ პრობლემებს შეუქმნიდა: „ჩემი აზრით, მატჩის მსვლელობისას ბევრ ეპიზოდში მაჯობებდა. ანრი უნივერსალურ ფეხბურთელთა ტიპს მიეკუთვნება და მისთვის თუნდაც ერთი წამით თვალის მოცილება ძვირად დაგიჯდებათ — დაუყოვნებლივ გოლით დაისჯებით“.

სავსებით მოსალოდნელია, ბეკენბაუერი ანრის ყოჩაღობამ აღარ გაახაროს, რადგან ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მისი „ბაიერნი“ სწორედ ლონდონის „არსენალს“ შეხვდება. დიდი გერმანელი დიდ ჯახს გვიწინასწარმეტყველებს: „ჩემი აზრით, „არსენალი“ საამსეზონო ლიგის ფავორიტია, მაგრამ მსოფლიოში დაუმარცხებელი გუნდი არ არსებობს და მეც შემდგომ ეტაპზე „ბაიერნის“ გასვლის იმედი მაქვს. ორრაუნდიანი შეხვედრა ურთულესი და სანახაობრივად ლამაზი იქნება“.

**ლადო ხომერიძე**




**რუმინეთის** ნაკრებს ორი ფეხბურთელი უბრუნდება — კიევის დინამოელი ტიბერიუ გიოანე და ბუქარესტის „სტიაუას“ ვეტერანი ნახევარმცველი დორინელ მუნტეანუ. „ორივე მათგანს ველაპარაკე და ყველაფერი გადავწყვიტეთ. გიოანეს საკმაოდ დიდი ხანი ვესაუბრე, ბევრ პრობლემაზე ვიმსჯელეთ. მან ყველაფერი ამიხსნა, მაგრამ არ სურს იმ მიზეზების საჯაროდ გახმაურება, რის გამოც აცხადებდა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარს. დარჩა კიდევ სამი განაწყენებული მოთამაშე და ახლა ისინიც უნდა შემოვირიგო“ — თქვა რუმინელთა კმაყოფილმა თავკაცმა ვიქტორ პიცურკამ.

**ინგლისის** ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ მცველ ეშლი კოულით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის მადრიდის „რეალი“. „მეთოფეებს“ კი მისი გასხვისება არ სურთ და ფეხბურთელს მალე ახალ კონტრაქტსაც შესთავაზებენ. „თუ გუნდის უფროსობა ხელფასის მომატებაზე დაგვეთანხმდება და ეშლის უფრო სარფიან წინადადებას შესთავაზებს, იგი არსად წავა“ — თქვა კოულის აგენტმა.

**პარაგვაის** ნაკრების მცველი პედრო ბენიტესი მომავალ კვირას უკრაინაში ჩაფრინდება და „შახტართან“ ხუთწლიანი კონტრაქტს გააფორმებს. 23 წლის ფეხბურთელი დონეცკელებმა 1 მილიონ დოლარად შეიძინეს: აქედან 200 ათასს მისი ყოფილი კლუბი, „სერო პორტენო“ მიიღებს, დანარჩენ თანხას კი ბენიტესი თავის აგენტს გაუნაწილებს.

**ინგლისური** „ტოტენჰემის“ თავკაცმა მარტინ იოლმა საჯაროდ განაცხადა, კლუბის წამყვანი ფორვარდი ჯერმენ დეფო არ იყიდებაო. იცით, დეფოს გადაბირება ლონდონურ „ჩელსის“ რა ხანია, სურს. „მის გაყიდვას არ ვაპირებთ, მით უმეტეს იანვარში, არც თავად ჯერმენს სურს გუნდიდან წასვლა. დეფო ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და მალე ევროპაში საუკეთესო გახდება“ — დასძინა „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა მარტინ იოლმა.

**უკრაინული** „ვორსკლას“ 20 წლის თავდამსხმელი ვიტალი ნესინი ავტოავარიაში დაიღუპა. ახალგაზრდა ფეხბურთელი მეგობრის მანქანას მართავდა, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და, სამწუხაროდ, მანქანაში მსხდომი ყველა მგზავრი დაიღუპა. ნესინი სიკვდილამდე კომაში იყო და ბევრი სისხლიც დაკარგა. ექიმებმა ყველანაირად სცადეს მისი გადარჩენა, მაგრამ ამაოდ.

**მექსიკური** „ვერაკრუსი“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ჟუნინიო პაულისტას გადაბირებას აპირებს. 31 წლის ფეხბურთელი ზაფხულში გლაზგოს „სელტიკს“ შეუერთდა, მაგრამ გუნდის ძირითადში ვერ დამკვიდრდა. მისი ადგილი 18 წლის ეიდენ მაკგიდიმ დაიკავა. უკმაყოფილო ჟუნინიოს გუნდის გამოცვლაც ამიტომ სურს. „ვერაკრუსის“ პრეზიდენტ გუსტავო პარენტეს კი იმედი აქვს, ჟუნინიოს დაარწმუნებს და მხარეები კონტრაქტსაც მალე გააფორმებენ.

**ინგლისურმა** ტოტალიზატორებმა მორიგი ფსონები გამოაქვეყნეს. ბრიტანელი ბუქმეკერები თვლიან, რომ პრემიერლიგას ლონდონური „ჩელსი“ მოიგებს. ეროვნულ ჩემპიონატს ახლა სწორედ „არისტოკრატები“ ლიდერობენ და უახლოეს მდევარ „არსენალს“ 5 ქულით უსწრებენ. პრემიერლიგიდან გავარდნა „ვესტ ბრომვიჩს“ ემუქრება, გუნდი შესაბამისად ცხრილის ფსკერზეა და მხოლოდ 10 ქულა აქვს.

**რუსული** „ზენიტი“ ორი ახალწვეულით გაძლიერდა: სანკტ პეტერბურგელებმა მიზანს მიაღწიეს და რამდენიმეკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ „ვოლერენგადან“ 29 წლის ნორვეგიელი მცველი ერიკ ჰეგენი გადაიბირეს. კონტრაქტი სამწლიანია, ხოლო სატრანსფერო თანხა 1 მილიონი ევრო. მეორე შენაძენი კი სლოვენიური „პუბლიკუმის“ 22 წლის მაკედონიელი ფორვარდი დრაგან რადიკოვსკი გახლავთ.

**ინგლისური** „მიდლსბროს“ ნახევარმცველმა ჯორჯ ბოატენგმა გასულ უქმეებზე „ასტონ ვილასთან“ მატჩში ტრავმა მიიღო. ექიმების თქმით, იგი დაახლოებით 6 კვირა ვერ ითამაშებს. „ბოატენგის ტრავმა ჩვენთვის ძალიან სამწუხარო ამბავია. ჯორჯი მიმდინარე სეზონში საუკეთესო იყო გუნდში. რა გაეწყობა, ახლა უახლოესი მძიმე პერიოდის გავლა უმისოდ მოგვიწევს“ — აღნიშნა „ბოროს“ თავკაცმა სტივ მაკლარენმა.

**გერმანულმა** „ვერდერმა“ შესაძლოა ანგელოს ხარისტეასის ტრანსფერი ჩაშალოს. როგორც ირკვევა, ყველაფერი არც ისე მარტივად არის, როგორც თავიდან ჩანდა. ბრემენული კლუბი ბერძენის სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს ითხოვს. „ვერდერის“ სპორტული დირექტორის, კლაუს ალოფსის თქმით, ეს მინიმალური ფასია, თუმც „აიაქსი“ ჯერჯერობით ამდენის გადახდაზეც არაა ყაბული.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინგლისი. პრემიერლიგა

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 2 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 16:00 | 3 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.3 | 4.6 | 9.5 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| 18:00 | 4 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.3 | 4.6 | 9.5 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| 16:00 | 5 | არსენალი-ფულემი | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.33 |
| 18:00 | 6 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 2.55 | 3.3 | 2.5 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 16:00 | 7 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 18:00 | 8 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 2.7 | 3.3 | 2.4 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 9 | ევერტონი-სიტი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 18:30 | 10 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 21:00 | 11 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 4.7 | 3.4 | 1.7 | 1.97 | 1.24 | 1.13 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 13 | რედინგი-უოტფორდი | 1.65 | 3.3 | 4.95 | 1.1 | 1.23 | 1.98 |
| 16:00 | 14 | კარდიფი-ვულვერჰემპტონი | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| 16:00 | 15 | ბრაიტონი-ჯილინგემი | 1.95 | 3.2 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.7 |
| 16:00 | 16 | მილუოლი-იფსვიჩი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 17 | სანდერლენდი-ლიდსი | 1.6 | 3.4 | 5.55 | 1.08 | 1.24 | 2.1 |
| 16:00 | 18 | ვესტ ჰემი-ნოტინგემი | 1.55 | 3.5 | 5.7 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 18:00 | 19 | სტოკი-პრესტონი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 18:00 | 20 | პლიმუთი-ქპრ | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |
| 18:00 | 21 | ქოვენთრი-შეფილდი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 22 | ქრიუ-ბარნლი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 23 | უიგანი-დერბი | 1.65 | 3.4 | 4.85 | 1.11 | 1.23 | 1.99 |
| 18:00 | 24 | ლესტერი-როტერჰემი | 1.5 | 3.5 | 5.7 | 1.04 | 1.18 | 2.16 |

### ინგლისი. I ლიგა

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 25 | ტრანმერი-ბარნსლი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 26 | კოლჩესტერი-ბორნმუთი | 2.6 | 3.3 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 27 | სტოკპორტი-ბრისტოლი | 3.1 | 3.2 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 18:00 | 28 | ბლეკპული-ჰალი | 3.2 | 3.2 | 2.05 | 1.6 | 1.24 | 1.24 |
| 18:00 | 29 | ჩესტერფილდი-ლუტონი | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 30 | ჰარტლპული-ოლდემი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 31 | პიტერბრო-სუინდონი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 16:00 | 32 | ბრენტფორდი-ტორკი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 18:00 | 33 | უენსდი-უოლსოლი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 34 | ბრედფორდი-რექსემი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 18:00 | 35 | დონკასტერი-დონსი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 18:00 | 36 | ჰადერსფილდი-პორტ ვეილი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

### ინგლისი. II ლიგა

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 37 | კიდერმინსტერი-სუონსი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 18:00 | 38 | ბოსტონი-ლინკოლნი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 39 | მენსფილდი-კემბრიჯი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 40 | იოვილი-ჩელტენემი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 18:00 | 41 | როვერსი-ლეიტონი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 42 | გრიმსბი-მაკლსფილდი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 43 | ნოტსი-ნორთჰემპტონი | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 44 | რაშდენი-ოქსფორდი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 45 | დარლინგტონი-როჩდეილი | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 18:00 | 46 | ჩესტერი-სკანთორპი | 3.2 | 3.2 | 2.05 | 1.6 | 1.24 | 1.24 |
| 18:00 | 47 | ბერი-შრიუსბერი | 1.7 | 3.3 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| 18:00 | 48 | უიკომბი-საუთენდი | 2.05 | 3.2 | 3.1 | 1.24 | 1.23 | 1.57 |

### ინგლისი. კონფერენსი

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 49 | სტივენეიჯი-ბარნეტი | 2.75 | 3.3 | 2.2 | 1.5 | 1.22 | 1.32 |
| 16:00 | 50 | ბარტონი-ტემუორთი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 16:00 | 51 | მორიკომბი-კარლაილი | 2.8 | 3.2 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 16:00 | 52 | ექსეტერი-ჰერეფორდი | 2.55 | 3.2 | 2.4 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 53 | ლეი-ნორთვიჩი | 2.75 | 3.2 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 54 | ალდერშოტი-ფორესტ გრინი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 18:00 | 55 | უოკინგი-ფარნბორო | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 56 | ქროული-გრეივსენდი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 18:00 | 57 | აკრინგტონი-ჰალიფაქსი | 2.3 | 3.4 | 2.55 | 1.37 | 1.2 | 1.45 |
| 18:00 | 58 | სკარბორო-იორკი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 59 | დაგ ენდ რედი-კონვი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 60 | ჰართსი-სელტიკი | 8.0 | 4.0 | 1.35 | 2.66 | 1.15 | 1.0 |

**27 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 61 | კილმარნოკი-დანდი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 62 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 63 | აბერდინი-ინვერნესი | 1.65 | 3.5 | 4.4 | 1.12 | 1.2 | 1.94 |
| 18:00 | 64 | დანფერმლაინი-ლივინგსტონი | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| 18:00 | 65 | რეინჯერსი-მოზერუელი | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 66 | სტ.ჯონსტონი-რეითი | 1.35 | 4.4 | 6.5 | 1.03 | 1.11 | 2.62 |
| 18:00 | 67 | ფოლკირკი-ერდრი | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 18:00 | 68 | ქუინი-კლაიდი | 2.3 | 3.4 | 2.55 | 1.37 | 1.2 | 1.45 |
| 18:00 | 69 | სტ.მირენი-ჰამილტონი | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 17:00 | 70 | როსი-პარტიკი | 2.1 | 3.4 | 2.9 | 1.29 | 1.21 | 1.56 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

**27 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 71 | სტრანრარი-ალოა | 1.4 | 4.1 | 5.7 | 1.04 | 1.12 | 2.38 |
| 18:00 | 72 | სტირლინგი-არბროთი | 1.5 | 3.7 | 5.3 | 1.06 | 1.16 | 2.17 |

**კროკოს საახალწლო გრაფიკი: წლევანდელი ბოლო სამუშაო დღე – 28 დეკემბერი. მუშაობა განახლდება 8 იანვარს**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 73 | დამბარტონი-ეარი | 2.65 | 3.5 | 2.15 | 1.5 | 1.18 | 1.33 |
| 18:00 | 74 | ფორფარი-ბრეჩინი | 3.4 | 3.5 | 1.8 | 1.72 | 1.17 | 1.18 |
| 18:00 | 75 | ბერიკი-მორტონი | 2.7 | 3.4 | 2.15 | 1.5 | 1.19 | 1.31 |

შოტლანდია
III დივიზიონი
27 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 76 | ქუინზ პარკი-კოუდენბითი | 2.2 | 3.4 | 2.7 | 1.33 | 1.21 | 1.5 |
| 18:00 | 77 | პიტერჰედი-ისტ სტირლინგი | 1.1 | 6.5 | 11.0 | 1.0 | 1.0 | 4.08 |
| 18:00 | 78 | სტენჰაუზმური-ელგინი | 2.0 | 3.4 | 3.0 | 1.25 | 1.2 | 1.59 |
| 18:00 | 79 | ისტ ფაიფი-მონტროუზი | 2.45 | 3.4 | 2.35 | 1.42 | 1.19 | 1.38 |

ჰოკეი. შვედეთი
26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 119 | მალმიო-ლინჩიოპინგი | 2.3 | 4.2 | 1.95 | 1.48 | 1.05 | 1.33 |
| 18:00 | 120 | ფერიესტადი-მორა | 1.7 | 4.4 | 2.7 | 1.22 | 1.04 | 1.67 |
| 18:00 | 121 | ლულეო-მოდო | 2.1 | 4.2 | 2.1 | 1.39 | 1.04 | 1.39 |
| 18:00 | 122 | ბრიუნესი-ტიმრე | 2.3 | 4.2 | 2.05 | 1.48 | 1.08 | 1.37 |
| 18:00 | 123 | სიოდერტელიე-იურგორდენი | 2.15 | 4.2 | 2.2 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 18:00 | 124 | ფრიოლუნდა-ჰვ 71 | 1.45 | 4.5 | 3.6 | 1.09 | 1.03 | 2.0 |

ჰოკეი. ჩეხეთი
25 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 127 | ზნოიმო-ლიტვინოვი | 2.0 | 4.0 | 2.5 | 1.33 | 1.11 | 1.53 |

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 128 | ვსეტინი-ვიტკოვიცე | 2.2 | 4.0 | 2.25 | 1.41 | 1.11 | 1.44 |
| 19:00 | 129 | კლადნო-სლავია | 2.2 | 4.1 | 2.25 | 1.43 | 1.11 | 1.45 |
| 19:00 | 130 | ტრჟინეცი-ლიბერეცი | 2.15 | 4.1 | 2.25 | 1.41 | 1.09 | 1.45 |
| 19:30 | 131 | კარლოვი ვარი-პლზენი | 2.25 | 4.0 | 2.3 | 1.44 | 1.13 | 1.46 |
| 19:30 | 132 | დუკლა-ზლინი | 4.0 | 4.4 | 1.45 | 2.09 | 1.06 | 1.09 |

ჰოკეი. რუსეთი
24 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 176 | ხიმიკი-ლოკომოტივი | 2.15 | 4.1 | 2.2 | 1.41 | 1.08 | 1.43 |
| 14:00 | 177 | მაგნიტოგორსკი-ს.იულაევი | 1.2 | 5.0 | 5.8 | 1.0 | 1.0 | 2.68 |
| 14:00 | 178 | ცსკა-ნეფტეხიმიკი | 1.75 | 4.3 | 2.5 | 1.54 | 1.02 | 1.58 |
| 14:00 | 179 | აკ-ნოვოკუზნეცკი | 2.0 | 4.2 | 2.35 | 1.35 | 1.08 | 1.5 |
| 14:00 | 180 | ავანგარდი-სპარტაკი | 1.2 | 4.8 | 5.3 | 1.0 | 1.0 | 2.51 |
| 14:00 | 182 | სევერსტალი-ნოვოკუზნეცკი | 1.35 | 4.5 | 4.2 | 1.03 | 1.02 | 2.17 |
| 14:00 | 183 | დინამო-ლადა | 1.6 | 4.5 | 3.3 | 1.18 | 1.07 | 1.9 |


CROCO BOOKMAKERS კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%


### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.9 | 1.7 |
| 12004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 2.0 | 1.6 |
| 12005 | არსენალი-ფულემი | 2.0 | 1.6 |
| 12006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 12008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | ევერტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12010 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 1.9 | 1.7 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.7 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.7 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11005 | არსენალი-ფულემი | 1.5 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 10.0 | 12.0 |
| 11006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11009 | ევერტონი-სიტი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.3 |
| 11010 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.2 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.6 | 1.9 |
| 16003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.05 | 6.5 |
| 16004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.05 | 6.5 |
| 16005 | არსენალი-ფულემი | 1.03 | 7.2 |
| 16006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.8 | 1.8 |
| 16007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.6 | 1.9 |
| 16008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.9 | 1.65 |
| 16009 | ევერტონი-სიტი | 1.3 | 2.7 |
| 16010 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 16011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 2.85 | 1.3 |

**სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.9 | 1.7 |
| 13004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.9 | 1.7 |
| 13005 | არსენალი-ფულემი | 1.9 | 1.7 |
| 13006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | ევერტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.8 | 2.0 |
| 14003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.2 | 2.6 |
| 14004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.2 | 2.6 |
| 14005 | არსენალი-ფულემი | 1.15 | 2.9 |
| 14006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.9 | 1.9 |
| 14007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.8 | 2.0 |
| 14008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.95 | 1.85 |
| 14009 | ევერტონი-სიტი | 1.7 | 2.2 |
| 14010 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 14011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 2.4 | 1.45 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.9 | 1.9 |
| 17004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.9 | 1.9 |
| 17005 | არსენალი-ფულემი | 1.9 | 1.9 |
| 17006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ევერტონი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2.85 | 2.0 | 3.3 | 1.17 | 1.52 | 1.24 |
| 10003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.4 | 2.9 | 7.5 | 1.0 | 1.17 | 2.09 |
| 10004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.4 | 2.9 | 7.2 | 1.0 | 1.17 | 2.06 |
| 10005 | არსენალი-ფულემი | 1.35 | 3.0 | 7.7 | 1.0 | 1.14 | 2.15 |
| 10006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 3.1 | 2.0 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 2.85 | 2.0 | 3.35 | 1.17 | 1.53 | 1.25 |
| 10008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 3.2 | 2.0 | 2.8 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10009 | ევერტონი-სიტი | 2.3 | 2.0 | 4.0 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10010 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.85 | 2.1 | 3.1 | 1.2 | 1.48 | 1.25 |
| 10011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 4.4 | 2.0 | 2.05 | 1.37 | 1.39 | 1.01 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## რაგბი

ნინო ლეჟავას ფოტო



გუგა გეგენავა, გოჩა სვანიძე და მერაბ ანთაძე

# განვაგებინოთ გამგეობას

## მერაბ ანთაძემ წელი შეაჯამა

*საქართველოს რაგბის კავშირს ჯერ კიდევ პრეზიდენტის არჩევისას გადაუწყვეტია, რომ წესდებაში ცვლილებები იყო შესატანი და გუშინ ამ და სხვა საკითხების გადასაწყვეტად თითქმის მთელი ქართული სარაგბო თემი დილიდანვე შეკრიბა სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში. დღის წესრიგში იდგა სამი ძირითადი საკითხი: პრეზიდენტ მერაბ ანთაძის საანგარიშო მოხსენება, წესდებაში ცვლილებების შეტანა და გამგეობის წევრების არჩევა. ყრილობას, რატომღაც ქუთაისის 27-ე სკოლის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ, ამიტომაც კენჭისყრაში 29 ხმოსანის ნაცვლად 27-მა იმონაწილევა*

თავდაპირველად მერაბ ანთაძე დელეგატებს განვლილი რვა თვის მუშაობის შედეგებზე ესაუბრა:

„ვულოცავ „ლელოს“ ჩემპიონობას, რადგან ეს ტიტული უდავოდ დიდი პატივია. ასევე „აკადემიის“ წარმომადგენლებსაც მინდა ვუთხრა, რომ მათმა გუნდმაც ბრწყინვალედ ითამაშა ფინალურ შეხვედრაში. მოხარული ვარ, რომ ჩემპიონატის გადამწყვეტმა ფაზამ ღირსეულად ჩაიარა. რაც შეეხება ჩვენი დღევანდელი შეკრების ერთ-ერთ მიზეზს — ჩემს საანგარიშო გამოსვლას, ვიტყვი, რომ ჩვენი მუშაობა რთულ პირობებში დაიწყო. იყო როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები, რამაც ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. თითქმის ყველაფერი ნულიდან დავიწყეთ. გვიხდებოდა უამრავი ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხის გაჭადრა. მაქსიმალურად ვცდილობდით, როგორც მთავრობაში, ასევე ყველა სტრუქტურაში შეგვესრულებინა ის ამოცანები და მიზნები, რაც აქამდე გვქონდა დასახული. მოხარულები ვართ, რომ საქართველოს რაგბის კავშირის სტრუქტურა უკვე ჩამოყალიბებულია. სტრუქტურაზე მუშაობისას კონსულტაციები გვქონდა ფირა-აერ-ის და ირბ-ის წარმომადგენლებთან. მინდა აღვნიშნო, რომ სტრუქტურის ჩამოყალიბებაში ლომის წილი კოკა ლაზიშვილს მიუძღვის, რომელიც სულ ახლახან ფირა-აერ-ის რაგბის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. რაც შეეხება ბიუჯეტის ჩამოყალიბებას და მის მიღებას, ეს უშუალოდ გამგეობის მეშვეობით მოხდება. შევიმუშავეთ მექანიზმიც, რაც გამჭირვალეს გახდის კავშირის მთელ საფინანსო საკითხებს. ნებისმიერი შეჯიბრის, ტურნირის დაფინანსება, თითოეული თეთრის შემოსავალი თუ გასავალი ყველასათვის ცნობილი გახდება. სესხის სახით ნახევარ მილიონზე მეტი ლარი მოვიძიეთ, რაშიც „ბაზის ბანკი“ და კერძო პირები დაგვეხმარნენ.“

მერაბ ანთაძის გამოსვლის შემდეგ წესდების განხილვაც დაიწყო. ითქვა, რომ 1998 წელს შექმნილმა წესდებამ ავად თუ კარგად მაინც შეასრულა თავისი ფუნქცია. წესდება დარჩა, თუმცა მასში ცვლილებები შეიტანეს ძირითადად გამგეობის თაობაზე. რეპლიკას — რა, გამგეობა რაგბის კავშირი არ არისო? — პასუხი იურისტმა გოჩა სვანიძემ გასცა: „აქამდე გამგეობა ფაქტობრივად ბუტაფორია იყო. ჩვენი მიზანია, გამგეობა რაგბის კავშირის უმნიშვნელოვანეს რგოლად ჩამოვაყალიბოთ. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სწორედ გამგეობა მართავს კავშირს. ვინაიდან ჩვენ განვითარების სტადიაში ვართ და კოლექტიურ მართვას არ მივჩვევივართ, წესდებაში შერეული სისტემა უნდა შემოვიტანოთ. გამგეობის თავმჯდომარე კავშირის პრეზიდენტი იქნება და სწორედ მასზე მოხდება მართვის დელეგირება.“

დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ყრილობამ გამგეობის წევრებად აირჩია: მერაბ ანთაძე — ილია წულუკიძე, გოჩა სვანიძე, ალეკო სვანიძე, გია ნიჟარაძე, გუგა გეგენავა, ანდრო აბაშიძე და ირაკლი კიზირია. გამგეობაში 20 იანვრამდე შეიყვანენ ქუთაისის წარმომადგენელს, რომლის ვინაობაც ჯერ არ გარკვეულა.

**ნინო ლეჟავა**

## მთამსვლელობა

# უნივერსიტეტში გამომწყვდეული მთები და ადამიანები

**მთამსვლელობაში** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოსმა, დოცენტმა შოთა მირიანაშვილმა უამრავი ახალგაზრდა აზიარა ალპინიზმს, მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ იგი უნივერსიტეტელთა შორის ფოტოხელოვნების განვითარებისთვისაც არანაკლებ ზრუნავს. ყოველ შემთხვევაში, უნივერსიტეტის ალპინიადებისა თუ ექსპედიციების მერე თავს უყრის მთაში მოსიარულეთა მიერ გადაღებულ ფოტოებს და გამოფენებსაც აწყობს.



შოთა მირიანაშვილი

გუშინ უნივერსიტეტში კიდევ ერთი ასეთი გამოფენა — „მთები და ადამიანები“ გაიხსნა. მისი ორგანიზატორები იყვნენ ამავე უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპიური კლუბი, რომელსაც შოთა მირიანაშვილი ხელმძღვანელობს და სტუდენტური ლიგა. გამოფენაზე სამასამდე ნამუშევარი გამოფინეს უნივერსიტეტის სტუდენტებმაც და თანამშრომლებმაც. უნივერსიტეტის კედლებში გამომწყვდეული ამ მთებისა და ადამიანების ავტორები არიან: ქეთევან ახვლედიანი, ირაკლი ბუჯაშვილი, ლევან მაჩაბლიშვილი, გიორგი ხაბურძანია, დავით მჭედლიშვილი, დავით ლომინეიშვილი და სხვები. მათი ნამუშევრები, რომლებზეც ვხედავთ ულამაზეს მთებს და მათზე ამსვლელებს, საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრებას, ალბათ ბევრ პროფესიონალსაც შეშურდება.

გამოფენაზე აჩვენეს ასევე ახალგაზრდა უნივერსიტეტელის გიორგი მრევლიშვილის მშვენიერი დოკუმენტური ფილმი. იგი მოგვითხრობს ქართული ალპინიზმის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ალპინიადის პერიპეტიებზე, რომელიც შარშან მყინვარწვერზე მოეწყო იმავე მარშრუტით, რომლითაც გიორგი ნიკოლაძემ უნივერსიტეტელებთან ერთად 1923 წელს სათავე დაუდო მთამსვლელობის ისტორიას.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ავტორის ფოტოები**



აისი მთაში

## წყალბურთი

# აი, კაცური სიტყვა

**ეტყობა,** საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების ჩამოსაყალიბებლად მართლაც სერიოზულად ფიქრობენ. როგორც გუშინ ვიუწყებოდით, უკრაინის ღია ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ლეგიონერთა ერთ ნაწილსნაკრებში, ბოლო წლებში, პირველად უხმეს. მათგან ორმა მართლაც შესძლო გუნდის სხვა წევრებთან ერთად თამაში. გუშინვე საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე დავით ნამგალაური და თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი, იმავდროულად საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ასევე ახალი პრეზიდენტი გიორგი უდესიანი „ლაგუნა ვერეს“ აუზში მოვარჯიშე წყალბურთელებს ეწვივნენ.

ეს შეხვედრა მხოლოდ გაცნობითი ხასიათისა არ იყო. როგორც დავით ნამგალაურმა თქვა, ჩვენი ქვეყნისთვის წყალბურთი ერთ-ერთი უმთავრესი, პრიორიტეტული სახეობა ხდება, რათა ოდინდელი ტრადიციები აღვადგინოთ და პეკინის ოლიმიური ლიცენზიის მოსაპოვებლად ვიბრძოლოთ.

მსგავსი საუბარი იყო ამ ოთხი წლის წინათაც, როცა სიდნეის ოლიმპიური თამაშები დასრულდა და საათენო ფიქრი დავიწყეთ, მაგრამ მაშინ ეს საქმე სიტყვასა და ფიქრს არ გასცდენია.

ახლა, წყალბურთელებთან სტუმრად მყოფმა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გუნდის წევრებს უთხრა, ჩვენ შედეგებს მოგთხოვთ, თქვენ კი დაფინანსება მოგვთხოვეთო. წყალბურთელებმა ერთმანეთს გადახედეს და, აი, კაცური სიტყვაო.

სხვათა შორის, ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად თურქეთში და საბერძნეთში მოთამაშეები — გალაქტიონ ლაითაძე და თამაზ მანძულაშვილიც ვარჯიშობდნენ. მათვე შეუერთდა რუსეთის ნაკრების ლიდერი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე. დავით ნამგალაური ჩომახიძესაც გამოელაპარაკა, საპეკინოდ თქვენი დახმარება გვჭირდებაო. რუსთა ნაკრების იმედმაც ჩემი იმედი გქონდეთო.

მაგრამ ასე, ერთი შეხვედრისა და გასაუბრების იმედად, ცხადია, არ უნდა ვიყოთ. როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ გვითხრა, ჩვენი გუნდის მთავარი მამოძრავებელი ძალა სწორედ ჩომახიძე უნდა იყოს. მას და სხვებს ისეთივე პირობები მაინც უნდა შევუქმნათ, როგორც თავიანთ კლუბებში აქვთ. ამას გარდა, ფინანსებთან ერთად საჭიროა, სასწრაფოდ ჩამოყალიბდეს საკლუბო წყალბურთი და გამოინახოს ბაზა.

ბაზასთან დაკავშირებით იქვე, აუზში საქართველოს პრეზიდენტის სახელზე დაიწერა მიმართვა, რომლითაც ითხოვენ საქართველოს პროფკავშირების კუთვნილ თბილისის „ბურევესტნიკის“ ზამთრის საცურაო აუზის გადმოცემას. ეტყობა, ეს საქმე დღე-დღეზე გადაწყდება. იგი არა მხოლოდ წყალბურთელების, არამედ საწყლოსნო სახეობის წარმომადგენელთა ძირითადი ბაზა იქნება.

ერთი სიტყვით, გუშინ „ლაგუნა ვერეს“ აუზში „სტუმრებიც“ და „მასპინძლებიც“ იმედიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

მთის თხილამურობა

# თეთრი რელსებით მთიდან ვეშვებით

როდესაც საქმე სპორტის ზამთრის სახეობებს ეხება, იშვიათად რომ ჩვენებურთა წარმატებაზე მოგვიწიოს წერა, მაგრამ ამჟამად სასიამოვნო გამონაკლისთან გვაქვს საქმე. ჩეხეთის ტრადიციულ ტურნირზე, რომელიც „ატომიკის“ სახელითაა ცნობილი, სათხილამუროდ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან იკრიბებიან ხოლმე მოზარდები.

ტურნირში ძირითადად 12-13 წლის ბავშვები მონაწილეობენ, თუმცა ჩვენებური ჯაბა გელაშვილი ჯერ მხოლოდ 11 წლისაა და ზოგიერთი უფროსი კი დაჩაგრა. ჯაბამ სლალომშიც მესამე ადგილი დაიკავა და გიგანტურ სლალომშიც იგივე გაიმეორა. შედეგად 2 დისციპლინაში გახდა პრიზიორი, რაც ჩვენნაირი „არასაზამთრო“ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს, როდესაც 11 წლის ბავშვზეა ლაპარაკი, რომელსაც ჯერ ყველაფერი წინ აქვს.

ჯაბას მწვრთნელი ბატონი გერა აბრამიშვილია და ღმერთმა ქნას, ოდესმე მისმა შეგირდებმა ზამთრის ოლიმპიადაზეც გვასახელონ.

**ლადო ფულუკიძე**

მძლეოსნობა

# მე ვარ და ჩემი ჭოკი

## ელენა ისინბაევა სამშობლომაც დააფასა




**ამ უკვე** საქვეყნოდ ცნობილი რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა ქვეყნის წლის საუკეთესო მძლეოსნად აღიარეს და ალბათ სამართლიანადაც. წლეულს რუსთაგან არავის ისე არ უსახელებია საკუთარი სამშობლო, როგორც ლენას.

„რა თქმა უნდა ელენამ დაიმსახურა ეს პატივი. იგი სხვა სპორტსმენთაგან სტაბილურობითაც გამოირჩეოდა“ — განაცხადა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ლეონიდ ტიაგაჩოვმა. რუსები როგორ არ აირჩევდნენ, როდესაც იგი IAAF-მა საერთოდაც 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსან ქალად აღიარა.

თავად ელენას კი მაინცდამაინც არ „სტანჯავს“ თავმდაბლობა. კითხვაზე, რამდენად დამსახურებულად მიიღეთ ეს ჯილდოო, უყოყმანოდ პასუხობს: „კი მაგრამ მე თუ არა, სხვა ვინ უნდა ეღიარებინათ?! განა ჩემნაირი სტაბილური შედეგებით შეუძლია ვინმეს დაიკვეხნოს?! მსოფლიომაც საუკეთესოდ დამასახელა, ასე რომ თქვენ თვითონ დაფიქრდით ვარ თუ არა საუკეთესო.“

მოკლედ „მე ვარ და ჩემი ჭოკიო“ იძახის ლენა და პრინციპში შედავებაც უადგილოა. წლეულს სხვა თუ არაფერი, მსოფლიოს რეკორდი დაამყარა რვაჯერ — აქედან ერთ-ერთი ოლიმპიადაზე, როდესაც 4,91 მეტრს გადაევლო. ამის შემდეგ ბრიუსელში 1 სანტიმეტრით უფრო დიდი სიმაღლეც დალაშქრა.

მომავალ წელს ისინბაევა ყველა ტურნირში მონაწილეობას აპირებს.

„ძალიან ბევრს მივაღწიე, მაგრამ ბევრიც მისაღწევია, მათ შორის საოცნებო 5 მეტრიანი ნიშნული, რომელსაც აუცილებლად უნდა გადავახტე“ — აცხადებს რუსეთის საუკეთესო მძლეოსანი ქალი.

**ლადო ფულუკიძე**

ცურვა

# რასაცა გასცემ, შენია



**პოლონელი** მოცურავეები ოლიმპიური ჩემპიონობით განებივრებულნი სულაც არ არიან, მაგრამ „ათენი 2004-ის“ გამარჯვებული ოტილია ერდეჩაკი 200 მეტრზე ქალთა ბატერფლაით ცურვაში დაუფლებულ ოქროს მედალს შეელია და აუქციონზე გაყიდა. მედალი 82 770 დოლარად გაიყიდა, ოღონდაც ოტილია ერდეჩაკმა ეს თანხა საკუთარი ბიუჯეტის შესავსებად კი არა, ბავშვთა ონკოლოგიური ფონდისთვის გაიღო.

ასეთმა ქველმოქმედებამ ბევრი აღაფრთოვანა, მათ შორის პოლონეთის ზარაფხანას მეთაურობაც. მათ გადაწყვიტეს, 20 წლის მოცურავეს ჩამოუსხან და უსაჩუქრონ თავისი ოლიმპიური მედლის ზუსტი ოქროს ასლი მაშინ, როცა ორიგინალი მხოლოდ მოოქროვილი იყო.

**ავთანდილ ტყვიშელი**

აფროსნობა

# აფრები, ფრანგები და აისბერგები

**ამ ნახევარი** თვის წინათ დაწყებული ეულ იახტსმენთა ერთკორპუსიანი ნავებით გარესაქვეყნო მოგზაურობა, რომელსაც VENDEE GLOBE ეწოდება, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საიალქნო რბოლაა. ამ რბოლას მთელი ცამეტი დღე-ღამის განმავლობაში ფრანგი ვენსან რიუ ლიდერობდა, მაგრამ როცა ეს ფლოტი ახალი ზელანდიიდან 300 მილზე აისბერგებს მიუახლოვდა, მან პირველობა დაკარგა.

საქმე ის იყო, რომ იმ ზონაში, სულ ცოტა, თხუთმეტი აისბერგი გამოჩნდა. ვენსან რიუს მათთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად მანევრირება დასჭირდა, რასაც ლიდერობის დაკარგვა მოჰყვა. პირველობა სხვა ფრანგმა ლე კამმა იგდო ხელთ, რომელმაც ლე საბლ დე ოლონამდე 11 182,1 საზღვაო მილი დაფარა. რიუ, მას ახლა 19,8 მილით ჩამორჩება რიუს კი მიჰყვება მესამე ფრანგი — ჟოსე. ჟოსეს კვალში ჩასდგომიან დიდბრიტანელი ჰოლდინგი და შვეიცარიელი ვავრი, მათ კი ისევ ფრანგები დიკი და ტერსელენი „უმშვენებენ“ ზურგს.

**ავთანდილ ტყვიშელი**

კრივი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ თავს ჩვენვე ვუზატონებთ

## ძმებმა კლიჩკოებმა პრომოუტერი გააგდეს

**კრივის** სამყაროში დღეისათვის ყველაზე ცნობილ ძმებს — ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოებს, როგორც ჩანს, მუშტთან ერთად ტვინიც უჭრით, ვინაიდან მეტოქეებს მხოლოდ რინგზე კი არა, სასამართლო დარბაზებშიც ამარცხებენ.

პარასკევს ჰამბურგის სასამართლომ საბოლოოდ დაასრულა საქმის განხილვა, რომელიც ასეთი სახელით იყო ცნობილი — „კლიჩკოები კოლის წინააღმდეგ“.

უკრაინელი ძმები თავის პრომოუტერს კლაუს-პეტერ კოლს უჩიოდნენ, აქაოდა მასთან კონტრაქტის ვადა 2004 წლის 30 აპრილს ამოგვეწურა და კოლის კლუბი „UNIVERSUM BOX PROMOTION“ მას შემდეგ ჩვენს უკანონო ექსპლუატაციას ეწევაო.

საქმე კი ასე ყოფილა: უკრაინელებს გერმანულ კლუბთან და მის თავკაც კლაუს-პეტერ კოლთან მართლაც ამა წლის 30 აპრილამდე აკავშირებდათ კონტრაქტი, თუმც ტრავმების გამო რამდენიმე ბრძოლა გაუცდათ და პრომოუტერმაც გადაწყვიტა, რომ გაცდენილი დრო მისთვის ისევ ძმებს უნდა აენაზღაურებინათ. მაშინ სასამართლომ პრომოუტერის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა, რასაც ძმები შეეგუვნენ და აქამდე შემორჩნენ კლუბს. მთელი ამ დროის განმავლობაში კლიჩკოები კეთილსინდისიერად „ალილავებდნენ“ კოლის მიერ შერჩეულ მოწინააღმდეგეებს, რომელთა შორის კრივის სამყაროში „ტომრებად“ წოდებული სპორტსმენები სჭარბობდნენ. „ტომრებს“ იმ მოკრივეებს ეძახიან, რომლებიც რინგზე ფაქტობრივად „თავის შესაშვერად“ გამოდიან და მოგების მაგივრად უფრო იმაზე ფიქრობენ, რაც შეიძლება მეტი რაუნდი გაძლონ ვერტიკალურ მდგომარეობაში. ასეთი მეტოქეები დამწყები მოკრივესთვის მართლაც მისწრებაა, „უტყაპუნე“ და დაიწერე ქულები, თან საკუთარი თავის რწმენაც გემატება, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოსთვის „ტომრებთან“ ბრძოლა უფრო რეპუტაციის შელახვას ნიშნავს. მოკლედ, კლიჩკოებს ყელში ამოუვიდათ და იფიქრეს, კონტრაქტის პირობები გადაჭარბებითაც შევასრულეთ, ახლა ჯობს, თავი დავიხსნათო და სასამართლოს მიმართეს. კოლი პირიქით, 2005 წლის თებერვლის ბოლომდე ითხოვდა კონტრაქტის გახანგრძლივებას. საბოლოოდ ჰამბურგელმა მოსამართლე მიუჰენხაიმმა მერვე მოსმენის ბოლოს უკრაინელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე და ძმები უკვე თავისუფლები არიან.

როგორც კლიჩკოები აცხადებენ, ახალი „ზვიგენის“ ხახაში მოხვედრას აღარ აპირებენ. ასე რომ, დანარჩენ ბრძოლებს თავად დაგეგმავენ და პრომოუტერის გარეშე განაგრძობენ კარიერას. უფრო მეტიც, კლიჩკოები თავად აპირებენ საპრომოუტერო კომპანიის ჩამოყალიბებას. ასეთი ხერხი მრავალ ცნობილ მოკრივეს უცდია, ისეთებს, როგორებიც ოსკარ დე ლა ჰოია, თუ „შუგარ“ რეი ლეონარდი არიან.

**ლადო ფულუკიძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

# „მოზამბიკა“, შეხედე „მაიკას“

## სტუდენტებმა პრესინგში იმარჯვეს

ირაკლი პერტაია

გასულ კვირას „დინამოსთან“ დასანანად დამარცხებულ „თბილავიამშენს“ გუშინ გულის მოსაფხანი მეტოქე ჰყავდა. ლევან მოსეშვილის ამბიციური გუნდი უპრეტენზიო თელავის „ბურჯს“ ხვდებოდა და — კახელები ნუ გვიწყენენ — განადგურება იყო მოსალოდნელი.

თუმც მოთელვაზევე ცხადი გახდა, რომ „ავიამშენი“ თელაველებს წალეკვას არ უქადდა. ლევან მოსეშვილის გუნდი ლამის განახევრებული შემადგენლობით გამოვიდა კახელებთან სათამაშოდ. კახა შენგელიას, მამუკა აბრამიძესა და ბექა ნოზაძეს სხვადასხვა მიზეზების გამო „ავიამშენში“ არ უთამაშიათ, ამათ გარეშე კი თუნდაც თელაველთა განადგურება სულაც არ გახლდათ იოლი საქმე.

ის კი არა, კახელებმა იმდენი „გაბედეს“, რომ „ავიამშენს“ მთელი პირველი მეოთხედის განმავლობაში ტოლ-სწორად ეპაექრნენ. მოსეშვილის გუნდმა საწყისი ათწუთეული 24:18 კი მოიგო, მაგრამ მის დასრულებამდე ორიოდ წუთით ადრე მხოლოდ სამი ქულით ლიდერობდა. თელაველმა დავით აკოლაშვილმა მრავალი ცდიდან მხოლოდ ერთი სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ გიორგი დოლიძე იყო მოწოდების სიმაღლეზე და საწყის მეოთხედში კახელები ბედს არ უჩიოდნენ.

ეს იყო და ეს, თელაველთა წინააღმდეგობის გაწევის უნარიც აქ ამოიწურა. მეორე მეოთხედი „ავიამშენის“ აზვირთებით დაიწყო და კახელების რბევის მისია ჯერ ირაკლი ხოშტარიამ, მოგვიანებით კი თორნიკე ნინიაშვილმა იკისრა.



თელაველმა დავით აკოლაშვილმა „თბილავიამშენს“ 23 ქულა ჩაუგდო

რა მარჩიელობა უნდოდა, რომ „ბურჯი“ ამ თამაშს წააგებდა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შედეგი არ არის მთავარი და თელაველების საქმეც ასე გახლდათ. კახელებს ხომ დებიუტანტი და მეტად სუსტი გუნდი ჰყავთ და როცა ლიდერებს ხვდებიან, უფრო მეტს გამოცდილების შეძენაზე ფიქრობენ, ვიდრე ისედაც არარეალურ გამარჯვებაზე. ჰოდა, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო — თელაველებმა უშიშრად და ლაღად იწყეს თამაში და ხანდახან ბევრი რამ მშვენივრადაც გამოსდიოდათ.

მესამე მეოთხედში იყო მომენტი, როცა ავიატორები 30 ქულით დაწინაურდნენ (61:31), მაგრამ კახელებმა იმდენი მოახერხეს, რომ გადამწყვეტი ათწუთეულის წინ ჩამორჩენა 18 ქულამდე შეამცირეს. ეს ძირითადად დავით აკოლაშვილის სამქულიანების ხარჯზე მოხერხდა, ვინაც მესამე ათწუთეულში პერიმეტრსიქიდან ოთხჯერ გაისროლა ზუსტად.

„ავიაცია“ სიამაყის გრძნობამ გამოაფხიზლა, აუტსაიდერი როგორ ვერ უნდა დავაჩოქო და ბოლო მეოთხედში რომ მისცხეს, საბოლოოდ 33-ქულიანი გამარჯვება გაიფორმეს მოსეშვილის შეგირდებმა. ნინიაშვილმა იყოჩაღა...

თელაველთა დამარცხების შემდეგ „მაკაბის“ „ჯერი“ დადგა. ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდს არც მთლად ლიდერი, მაგრამ საკმაოდ მძლავრი მეტოქე ჰყავდა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი.

ანგარიში თსუ-მ გახსნა, მაგრამ მალე „მაკაბი“ 5:4 დაწინაურდა, როგორც გაირკვა, მატჩში პირველად და უკანასკნელად. კოკოლიშვილმა სამიანით ლიდერობა საბოლოოდ დაუბრუნა თსუ-ს და თავისიანთა შტურმს დაუდო სათავე.

თითქმის ყველა სტუდენტმა ერთდროულად აიშვა — ბომბეს და ბომბეს მათ „მაკაბის“ კალათი და მალე თავისი გუნდი 25:8 დააწინაურეს.

მაკაბელთა მწვრთნელმა, ცხადია, შეცვლებით სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ამ საქმეშიც ხელი მოეცარა. მოედანზე გამოსული თენგიზ გვარამაძე, მეტსახელად „მოზამბიკა“, „თალღითობაში“ ამხილეს, განაცხადში ექვსი ნომერი ხარ და ათნომრიანი მაისურა რატომ გაცვიაო. „მაკაბი“, ცხადია, ტექნიკურით დაჯარიმდა და კიდევ უფრო ჩამორჩა, „მოზამბიკამ“ კი ჯერ გასახდელში, მერე კი ტრიბუნებზე გადაინაცვლა. მატჩის კომისარი მურმან ქურიძე შეუვალი იყო, კანონი კანონია და განაცხადში ექვს ნომრად დაფიქსირებულს ათი ნომრით ვერ გაბურთავებო. „მოზამბიკამ“ კი თქვა, მაისურა გუშინდელ ვარჯიშზე მომპარესო, მაგრამ ეს კომისრის დასაყოლიებლად საკმარისი მტკიცებულება არ აღმოჩნდა.

თსუ-მ, დავწინაურდიო და ექსპერიმენტებს მიმართა. მეორე მეოთხედში მამუკა ტურაშვილმა „თინეიჯერული“ შემადგენლობა დააყენა — ერთი გიორგი მარხვაშვილი იყო 21 წლის, თორემ გიორგი ლომიძე, დავით ხიზანიშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი და ნოდარ ბერაია სრულიად ახალგაზრდები არიან.

ამ „ბავშვებს“ ტურაშვილმა პრესინგის თამაში უბრძანა და კარგა ხანი თსუ-ც ამ სათამაშო „იარაღით“ ეომებოდა მეტოქეს. პრესინგი, მოგეხსენებათ, თამაშის მეტად სარისკო სტილია და თუ მოწინააღმდეგემ ერთი ბარიერი გაარღვია, მერე იოლი არაა მისი დევნა. ჰოდა, „მაკაბი“ არ აღმოჩნდა ისეთი „ბუ-ლკი“, პრესინგის წინააღმდეგ თამაშისთვის ალღო ვერ აელო და ჩამორჩენაც გვარიანად გააბათილა. ტურაშვილი ხედავდა, რომ „მაკაბი“ წარმატებით თამაშობდა, მაგრამ თავისიანებს მაინც პრესინგისკენ მოუწოდებდა. შედეგად ხუხაშვილის გუნდი 6 ქულით მიუახლოვდა თსუ-ს და სტუდენტებიც თამაშის „მამაპაპურ“, ზონა-კონტრშეტევაზე აწყობილ სტილს დაუბრუნდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა, თსუ-მ ისევ დაიბრუნა გვარიანი უპირატესობა და საბოლოოდ 101:83 იმარჯვა

---

23 დეკემბერი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 99:66 ბურჯი**

24:18 25:8 20:25 30:15

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (12), ხოშტარია (17), წოწელია (5), ნინიაშვილი (21), ბერძენიშვილი (15); თორთლაძე (11), ბოლქვაძე (8), ორმოცაძე (6), მოსეშვილი (4)

**ბურჯი:** იაგორაშვილი (3), აკოლაშვილი (23), დოლიძე (19), ნუცუბიძე (8), დოლმაზაშვილი (4); ქისტაური (4), ქუჯაიძე (3), შერმადინი (2), ამირანაშვილი, პაპუნაშვილი

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, მალხაზ ანდღულაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**თსუ 101:83 მაკაბი**

30:16 24:27 24:16 23:24

**თსუ:** ვეფხვაძე (9), ი. მაისურაძე (13), ბაქრაძე (3), ფანჩულიძე (19), კოკოლიშვილი (11); მარხვაშვილი (13), ბერაია (19), ლომიძე (6), ხიზანიშვილი (8)

**მაკაბი:** ბადრიძე (13), კონჯარია (8), ერგემლიძე (2), ვაშაკიძე (31), ფიცხელაური (16); კორკოტაძე (13), გვარამაძე

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ლიკა ქაჯაია

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**სტუ 99:76 სსუ**

21:16 21:24 26:22 31:14

**სტუ:** დ. ბერიშვილი (7), კოხრეიძე (5), მარკოიშვილი (20), შანიძე (19), მათიაშვილი; კეიდია (16), მიქაძე (11), დავითულიანი (9), ჯაფარიძე (6), გოგობერიშვილი (2), დევიძე (2), გაგნიძე (2)

**სსუ:** ნინუა (9), პატარაია (12), იმედაშვილი (6), ზანგურაშვილი, ქვილითაია (14); ონიკაშვილი (15), გოლეთიანი (13), ცხაკაია (3), ოქროპირიძე (2), ჯიქია (2)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

რუსთავი

**თუჯი 57:59 დინამო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 10 | 9 | 1 | +196 | 19 |
| დინამო | 10 | 8 | 2 | +186 | 18 |
| თბილავიამშენი | 10 | 8 | 2 | +181 | 18 |
| თსუ | 10 | 6 | 4 | +97 | 16 |
| თუჯი | 10 | 5 | 5 | +27 | 15 |
| მაკაბი | 10 | 2 | 8 | -153 | 12 |
| ბურჯი | 10 | 1 | 9 | -289 | 11 |
| სსუ | 10 | 1 | 9 | -245 | 11 |

## ევროლიგა

Euroleague

VIII ტური. 23 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ესტუდიანტესი 61:66 ეფესი

**C ჯგუფი**

ტაუ 93:87 პო ორტეზი

ბენეტონი 72:80 ცსკა

**B ჯგუფი**

ოლიმპია 63:74 სკავოლინი

ოლიმპია: ბოისა (40 წუთი, 18 ქულა, 10 მოხსნა)

აეკ 91:79 ბარსელონა

მაკაბი 102:104 ჟალგირისი

---

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 22 დეკემბერი —

**მილუოკი 95:104 პორტლენდი**

**მილუოკი:** უილიამსი, რედი (4), მეისონი (16), სმიტი (14), გაძურიჩი (12); ჯეიმსი (22), გილი (12), ფაჩულია (13 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), ფიზერი (4), პაუსი (3), ჰამილტონი

**პორტლენდი:** ვან ექსელი (26), ანდერსონი (14), მაილზი (14), რენდოლფი (22 ქულა, 11 მოხსნა), რეთლიფი (9 ქულა, 10 მოხსნა); პატერსონი (9), სტუდემაერი (8), აუთლოუ (2), პრჟიბილა, ტელფარი

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**სიეტლი 98:83 დენვერი**

**სიეტლი:** რიდნორი (4), ალენი (20), ლუისი (21), ევენსი (6 ქულა, 12 მოხსნა), ჯეიმსი (4); რადმანოვიჩი (19), მიურეი (15), კოლისონი (6),ფორტსონი (3), ქუთლუაი

**დენვერი:** მილერი (20), ბაკნერი, ჯონსონი (8), მარტინი (18), კემბი (3); უაიტი (17), ნენე (7), რასელი (6), ბოიკინსი (2), ელსონი (2), *ცქიტიშვილი* (2 წუთი, 2 ჩაჭრა)

**დეტროიტი 82:89 ჩიკაგო**

**დეტროიტი:** ბილაფსი (32), ბ. ვოლესი (12 ქულა, 15 მოხსნა, 6 დაფარება)

**ჩიკაგო:** გორდონი (19), ნოჩიონი (18), ჩანდლერი (13 ქულა, 11 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 109:99 მემფისი**

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (24), კლაქსტონი (22), მერფი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**მემფისი:** პოუზი (22), გასოლი (19)

**ატლანტა 113:100 დალასი**

**ატლანტა:** უოლკერი (25 ქულა, 10 მოხსნა), ჰარინგტონი (17)

**დალასი:** ნოვიცკი (23), ტერი (23), ჰოვარდი (23)

**ინდიანა 90:102 ფილადელფია**

**ინდიანა:** მილერი (30), [illegible] ქულა, 12 მოხსნა), ტინსლი (17)

**ფილადელფია:** აივერსონი (40)

**ტორონტო 98:86 იუტა**

**ტორონტო:** მარშალი (22), ბოში (18)

**იუტა:** ბუზერი (29 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 92:90 კლივლენდი**

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (42)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (23 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), მაკინისი (17), გუდენი (14 ქულა, 11 მოხსნა)

**ორლანდო 93:87 სან ანტონიო**

**ორლანდო:** ფრენსისი (29), თურქოღლუ (16), ჰილი (13)

**სან ანტონიო:** დანკანი (24), პარკერი (18)

**ბოსტონი 114:109 ნიუ იორკი**

**ბოსტონი:** ბლუნტი (22), პირსი (21), პეიტონი (17)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (25), მუჰამედი (22 ქულა, 13 მოხსნა), ტ. ტომასი (19)

**ჰიუსტონი 87:90 შარლოტი**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (25), მინგი (20 ქულა, 14 მოხსნა), სურა (17)

**შარლოტი:** ოკაფორი (21 ქულა, 11 მოხსნა), კაპონო (16)

**ლეიკერსი 101:89 ნიუ ორლეანი**

**ლეიკერსი:** ეტკინსი (30), ბრაიანტი (29), მიმი (11 ქულა, 21 მოხსნა, 5 დაფარება)

**ნიუ ორლეანი:** ვესლი (20), ნეილონი (18), დევისი (17)

---

# გადააჯვარედინეთ თითები

## ჯერმენ ონილს ათ თამაშს აჭრიან

ინდიანელმა ჯერმენ ონილმა საშობაოდ შეიძლება ჩინებული საჩუქარი მიიღოს. გავიხსენოთ: ონილი იმ ავადსახსენებელ ჩხუბში მონაწილეობდა, 19 ნოემბერს რომ მოხდა „დეტროიტ“ — „ინდიანას“ მატჩში და სადაც ინდიანელები ტრებუნებზე აუცვივდნენ დეტროიტელ ფანებს.



ონილს 25-თამაშიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი და სამშაბათს „ინდიანამ“ იმ ჩხუბის შემდეგ მე-15 მატჩი გამართა. გუშინწინ კი მანჰეტენში მოწყობილ სასამართლო მოსმენაზე ამ საქმის მთავარმა არბიტრმა ჯონ კაპლანმა 10 თამაში შეუნდო ონილს და თუ ამ გადაწყვეტილებას მოსამართლეც ბეჭედს დაასვამს, ინდიანელთა თმაგრეხილი ლიდერი შაბათს მოედანს დაუბრუნდება. და არ იკითხავთ, ვისთან? სწორედ იმ „დეტროიტ პისტონზთან“, ვის წინააღმდეგ თამაშისასაც მომხდარ ჩხუბში აიკიდა ეს სასჯელი.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია სასჯელის კბილებით დაცვას აპირებს. ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნის მარჯვენა ხელი რას გრანიკი ამბობს — „მისტერ კაპლანი არაა უფლებამოსილი, ვინმეს სასჯელი შეუმსუბუქოს. ეს ფედერალური სასამართლოს გადასაწყვეტია, რომელმაც თავის დროზე განაჩენი გამოიტანა.“

კაპლანი რომ „ინდიანასადმი“ მიკერძოებული იყოს, რაღა ჯერმენ ონილს „შეიწყალებდა“, იქვე არ არიან უფრო მკაცრად დასჯილი რონ არტესტი და სტივენ ჯეკსონი? კაპლანმა კი 28-გვერდიანი საქმე დაწერა, სადაც ონილის სასჯელის შემსუბუქების მიზეზებს ასახელებდა. მისი აზრით, ონილი მყარი ხასიათის ადამიანია და საზოგადოების მიმართ მეტად კეთილგანწყობილიც. მას მთელი ცხოვრება მშვიდობიანად უცხოვრია და სამაგალითო მოქალაქეც იყოო — აი, ამას ამბობს კაპლანი. ნბა-ს ხელმძღვანელობა კი სასამართლოს ელის, რომელიც ამ გამთენიისას უნდა გამართულიყო და ჯერმენ ონილის მოედანზე ნაადრევად დაბრუნების საკითხი გადაეწყვიტა.

საკუთრივ ინდიანელთა ბანაკში კი არაფერს ამბობენ საქმის ირგვლივ, მხოლოდ სასამართლოს ელოდებიან და პირჯვარს იწერენ: „ეს ჩვენთვის კარგი ამბავია, მაგრამ ცუდია, რომ რონ არტესტს და სტივენ ჯეკსონს არ შეიწყალებენ — ამბობს „პეისერსის“ მწვრთნელი რიკ კარლაილი — მართალია, საბოლოოდ არც ონილის შეწყალებაა გადაწყვეტილი, მაგრამ კარგია, რომ საქმე დაიძრა. ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია, თითები გადავაჯვარედინოთ და სასამართლოს განაჩენს დაველოდოთ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სლალომის წამები

ავსტრიის სამთო კურორტ ფლაშაუში გახურებულა სამთო თხილამურობის მსოფლიოს თასის ერთი ეტაპი სლალომში. ეტაპი იტალიელ ჯორჯო როკას მოუგია, სლოვენიელი მატია დრავციჩი (სურათზე) კი ისე გაუხარებია მეოთხე ადგილს, რომ გამარჯვებულზე არანაკლები ზეიმი გაუმართავს. მანამდე კი, ცხადია, წილისყრა იყო, რომელსაც იაპონელი აკირა სასკი „ვარსკვლავეთის ომების“ კინოვმირის ნიღბით შეეგებია.







# ბერტუჩის საქმე

ძველი საქმეა, მაგრამ სასამართლომდე კი მივიდა და სასამართლოს მხატვრებსაც, ვანკუვერში საქმე გაუჩნდათ. იქაური „კენაკსის“ ჰოკეისტმა ტოდ ბერტუციმ ისეთი ჩასთხლიშა კოლორადოელ სტივ მურს, რომ საქმე სწორედ სასამართლომდე მივიდა. ბერტუცი დამნაშავედ სცნეს, ოღონდ კი ციხე და ასეთი რამეები ასცდა. ბერტუცის მიესაჯა პირობითი ერთწლიანი პატიმრობა, თანაც ის ამ ერთ წელიწადში ვერ ითამაშებს იმ შეხვედრაში, რომელშიც იქნება სტივ მური. სასამართლოდან გამოსული მოთამაშე მძიმე განცდებში ჩაფლულიყო და ცოლი, ჯული ამშვიდებდა.



# ძერა და ბოშა

ბოლივია. ელ ალტო. ქვეყნის ყველაზე პოპულარული მოჭიდავე ქალები ერთმანეთს არ ინდობენ და რინგს გარეთაც კი გადმოცვენილან საჭიდაო წარმოდგენისას. „ვერცხლის ძერა“ წაქცეული „ბოშა ქალის“ დაპორჭყნას ლამობს. 700-ათასიან მუშათა და მოჯანყეთა ქალაქ ელ ალტოში ამგვარი ჩხუბები საყვარელი სანახაობაა.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge